აშშ-ის ადმინისტრაციას იმ ქვეყნების დახმარება აეკრძალა, რომლებიც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს აღიარებენ

2

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბოქდ-ვური სიფცვაა, ფცუილებით და ჯოტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 5 მაისი. 2017 წ. №92 (8229), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ვის სჭირდება მედია- 4 ომბუდსმენი?



ოთარ აბესაძე:

თბილისის ცენტრში კოლგოტების დასლი არ დაიდგმება!

9

გასაშვილებელ ბავშვსა და მშვილებელს შორის სხვაობა 49 წელი იქნება

პარლამენტმა მესამე მოსმენით შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ პროექტი და მისი თანმდევი კანონ-პროექტები მიიღო.

პროექტით შემოღებულია ასაკობრივი ცენზი – კანონპროექტის მიხედვით, მაქსიმალური სხვაობა გასაშვილებელ ბავშვსა და მშვილებელს შორის 49 წელია. ასევე არის ნასამართლობასთან დაკავშირებული შეზღუდვები – გარკვეული მუხლებით ნასამართლევ ადამიანებს, თუნდაც მათ მოხსნილი ჰქონდეთ ნასამართლობა, ბავშვის შვილად აყვანის უფლება არ ექნებათ.

ამასთან, საქართველოში შვილად აყვანის მსურველი პირების მიერ სავალდებულო იქნება სპეციალური მოსამზადებელი კურსის გავლა, რაც მიზნად ისახავს შვილად აყვანის მსურველ პირთა მიერ ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენას. სავალდებულო მოსამზადებელი კურსის გავლის შემდეგ, კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი – სერტიფიკატი გაიცემა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისით თითოეული მოქალაქე უფასოდ სარგებლობს

ბოლო დროს სოციალურ ქსელებში ვრცელდება დეზინფორმაცია, თითქოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მომსახურება მოსახლეობისთვის ფასიანი ხდება, – ამის შესახებ ინფორმაციას თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი ავრცელებს.

„ხაზგასმით გვინდა, აღვნიშნოთ, რომ ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი მოქმედებს კანონით დადგენილი ნორმების მიხედვით და მისი სერვისით თითოეული მოქალაქე უფასოდ სარგებლობს.

შესაბამისად, მოვუწოდებთ ჩვენს მოქალაქეებს, არ აყვნენ ასეთი სახის იაფფასიან განცხადებებს და კითხვის გაჩენის შემთხვევაში, სწორი ინფორმაციის მისაღებად უშუალოდ დაუკავშირდნენ შესაბამის უწყებას“, – ნათქვამია განცხადებაში.

ვინ გადაწვა ტყის ზოლი ლისის ტბაზე?

ლისის ტბაზე ტყის მასივის გადაწვის შესახებ გავრცელებულ ვიდეომასალასა და განცხადებებს დედაქალაქის მერი კიდევ ერთხელ პასუხობს.

„ეს არის სიცრუე. რამდენიმე წლის წინათ ხანძრის შედეგად დაზიანებული ხეები, რომლის საკომპენსაციოდ, როგორც კომპანიის მხრიდან, ასევე თბილისის მერიის მხრიდან არაერთი ხე დაირგო და მასობრივი გამწვანების ღონისძიებები ჩატარდა. ეს ღონისძიებები მომავალშიც გაგრძელდება. ეს არის გაკოტრებული, ჩვენი ოპონენტების მიერ თითიდან გამოწოვილი ინფორმაცია“, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

ღირს დაფიქრებად...

საქართველოს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი

ადამიანთა მეტყველებაში სიტყვა „მაგარის“ ხშირი ხმარების გენეტიკური და ფსიქოლოგიური საფუძვლები 8

სკანდალი კიევში

უკრაინის ანტიკორუფციული ბიურო ქართული მაფიის პოლიტიზებული ფილიალია!

4

დიდი მადლობა, კაპიტანო!

12

მამუკა გორგოძე ნაკრებიდან თავაწეული მიდის

სიკეთითა და ერთგულებით გამორჩეული

6

მას ფარმაცევტისა და კაცობის ეთიკური კოდექსი არასოდეს დაურღვევია!

გიორგი კვირიკაშვილი: საქართველო არის აშშ-ის ძალიან მნიშვნელოვანი პარტნიორი

„ამერიკელი კონგრესმენების მხარდამჭერი მიმართვა მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო არის აშშ-ის ძალიან მნიშვნელოვანი პარტნიორი. ასე იყო ეს გასული 25 წლის განმავლობაში და ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ მომავალი 25 წლის განმავლობაში შევძლებთ, რომ კიდევ უფრო მჭიდრო პარტნიორობა შევქმნათ, რაც არის გარანტი საქართველოს სტაბილური, დემოკრატიული ქვეყნის ჩამოყალიბების პროცესში“, — ასე შეაფასა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ამერიკელი კონგრესმენების მიერ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპისადმი საქართველოს მხარდამჭერი წერილით მიმართვა. გიორგი კვირიკაშვილი დარწმუნებულია, რომ კონგრესმენების განწყობას და სულისკვეთებას იზიარებს ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლის აღსანიშნავად და ჩვენი მტკიცე პარტნიორობის კიდევ უფრო მხარდასაჭერად, 30 კონგრესმენმა, წარმომადგენლობითი პალატის წევრებმა გაუგზავნეს აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს საქართველოს მხარდამჭერი წერილი. მიმართვაში ხაზგასმულია ჩვენი პარტნიორობის მნიშვნელობა, ძალიან დიდი წარმატებები როგორც დემოკრატიული ინსტიტუციების მშენებლობის, ისე ეკონომიკური განვითარების გზაზე. ასევე ხაზგასმულია, რომ საქართველო ოკუპაციის პრობლემების მიუხედავად, არის მტკიცე მხარდამჭერი ანტიტერორისტული ქმედებებისა და ოპერაციების. წერილში გამოხატულია მხარდაჭერა თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების დაწყებისათვის, რაც ვფიქრობთ ძალიან მისასალმებელია. ბოლო პერიოდში კონგრესმა რამდენიმე მნიშვნელოვანი რეზოლუცია მიიღო ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუცია, ასევე, ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერის კუთხით. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო არის აშშ-ის ძალიან მნიშვნელოვანი პარტნიორი. დარწმუნებული ვარ, საქართველოს მიმართ იგივე განწყობაა სენატში და ერთი წამითაც არავის ეპარება ეჭვი, რომ ზუსტად ასეთივე სულისკვეთება გააჩნია ამერიკის პრეზიდენტს, ბატონ დონალდ ტრამპს“, — აღნიშნა პრემიერმა მთავრობის სხდომაზე.

აშშ-ის ადმინისტრაციას იმ ქვეყნების დახმარება აეკრძალა, რომლებიც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს აღიარებენ

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი და სპეცსამსახურების დაფინანსების შესახებ საკანონმდებლო აქტიც დაამტკიცა, რომლის მიხედვითაც ამერიკის ადმინისტრაციას ეკრძალება რაიმე სახის დახმარების გაწევა ქვეყნებისთვის, რომლებიც საქართველოს რეგიონების აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებენ. ამასთან, ამერიკულ სახელმწიფო უწყებებს ეკრძალებათ ქმედებები, რომელიც მიმართული იქნება ამ ორი რეგიონის მიმართ რუსული ოკუპაციის მხარდაჭერაზე.

დოკუმენტის მიხედვით, ევროპაში რუსეთის გავლენისა და აგრესიის შესამცირებლად 100 მილიონი დოლარი გამოიყოფა. თანხები გამოიყოფა ასევე „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ წევრი სახელმწიფოებისთვისაც, ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების იმპლემენტაციისთვის, რუსეთზე ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულების შემცირების მიზნით.

საქართველომ პირწმინდად მოუგო რუსეთს არაღიარების პოლიტიკა

საქართველომ ექვსი წლის განმავლობაში პირწმინდად მოუგო რუსეთს არაღიარების პოლიტიკა, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის საკანონმდებლო აქტზე, რომლის თანახმადაც, იმ ქვეყნების ყოველგვარი დახმარება აიკრძალა, რომლებიც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს აღიარებენ.

როგორც გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, ეს არის ქართული დიპლომატიის გამარჯვება და აშშ-ში საქართველოს ელჩის წარმატებული მუშაობის შედეგი.

„განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნით ჩვენს მეგობრებს დასავლეთში. ასეთი კანონპროექტის განხილვა ამერიკის შეერთებულ შტატებში არის საქართველოს ახალი ელჩის წარმატებული მუშაობის შედეგიც. ჩვენ გვეუბნებიან, რომ მიიღეთ ის რეალობა, რაც არის, მაგრამ საქართველო არასდროს შეეგუება ოკუპირებულ ტერიტორიებს. დღეს იქნება თუ ხვალ, ჩვენს სამშობლოს გავაერთიანებთ და არ გატყდება ჩვენი სული. დარწმუნებული ვარ, ამ ბრძოლაში ჩვენ გავიმარჯვებთ“, — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

დოკუმენტის მიხედვით, ევროპაში რუსეთის გავლენისა და აგრესიის შესამცირებლად 100 მილიონი დოლარი გამოიყოფა. თანხები გამოიყოფა ასევე „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ წევრი სახელმწიფოებისთვისაც, ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების იმპლემენტაციისთვის, რუსეთზე ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულების შემცირების მიზნით.

პრეზიდენტი, ჭორი და ტვინში ბუზები...

ჩემი და ბიძინა ივანიშვილის ურთიერთობა დამთავრდა მაშინ, როცა დამთავრდა, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სოხუმის უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრაზე არაფორმალური მმართველობის შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

„ჩემი და ბიძინა ივანიშვილის ურთიერთობა დამთავრდა მაშინ, როცა დამთავრდა. ჩვენ მის მერე არანაირი ურთიერთობა არ გვქონია. ბევრი ამბავი მოდის ჩემამდე, რომ ან ბიძინამ აიძულა ან ბიძინამ უთხრა და ა.შ. მე ხომ არ ვიცი, რომ ეს სიმართლეა? — ამიტომ რა უფლება მაქვს ჭორებზე საუბრის. როდესაც ენა მოაქვს ვინმეს, ე.ი. ეს ადამიანი რაიმესკენ მოტივირებულია, წრფელი გულით არავინ ჭორაობს. ბევრი ინფორმაცია მოსულა, მაგრამ ამ ჭორების განხილვა ჩემი შეურაცხყოფაც იქნება და თქვენიც. როდესაც ჭორაობ, ცუდია ტვინის ჰიგიენისთვის, ტვინში გიჩნდება ბუზები, რომელიც ცუდად მოქმედებს.

მე რამდენადაც შემიძლია, ვცდილობ, მოვწყდე ჭორს, პიროვნულ საუბარს და არაფორმალურ განხილვებს. პოლიტიკაში ძირითადად საუბარია ან ჭორზე, ან სხვის შინაგან მდგომარეობაზე. ჩემზე იმდენი ანალიზია ჩატარებული, ალბათ, ფროიდი ტირის, რადგან მუდმივად შესწავლის ობიექტი ვარ“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

ჩაერთვება პრეზიდენტი საჯარო განხილვაში?

უმრავლესობა საკონსტიტუციო ცვლილებების საერთო სახალხო განხილვებში ჩართვას უშუალოდ პრეზიდენტს სთავაზობს:

„პრეზიდენტს ვეპატიჟებით ჩაერთოს ჩვენთან ერთად სახალხო განხილვების პროცესში. ვთავაზობთ პრეზიდენტს პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად ვიმსჯელოთ საკონსტიტუციო ცვლილებებზე“, — განაცხადა ჩუგოშვილმა.

პარლამენტმა „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი მეორე მოსმენით დაამტკიცა

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტმა მეორე მოსმენით — 76 მომხრე 2-ის წინააღმდეგ დაამტკიცა პლენარულ სხდომაზე, საკანონმდებლო პაკეტის კენჭისყრამდე, ცვლილებების ავტორმა გუგული მაღრაძემ ის საკითხები დააზუსტა, რომლის თაობაზეც გუშინდელ სხდომაზე შენიშვნები გამოითქვა. მაღრაძის განცხადებით, განხილვისას გამოთქმულ რამდენიმე შენიშვნას ავტორები დაეთანხმნენ.

„როცა საუბარია თამბაქოს ნაწარმის ინტერნეტით, ან ფოსტით საცალო ვაჭრობაზე, ამ შემთხვევაში, ფრჩხილებში ჩაიწერება, რომ აკრძალვა მხოლოდ თამბაქოს ნაწარმს ეხება და არა იმ აქსესუარებს, რომელიც შეიძლება, ინდმეწარმემ თავისი ხელით გააკეთოს და გაავრცელოს. ცხადია, ეს ბრენდირებულ ნაწარმს არ ეხება. მაგალითად, საფერფლეს. თუ ადამიანი ლერწმისგან რაღაცას გააკეთებს, იმას აკრძალვა არ ეხება“, — აღნიშნა მაღრაძემ.

სხდომაზე ასევე საპარლამენტო უმცირესობის მიერ მომზადებულ ალტერნატიულ წინადადებასაც უყარეს კენჭი, რომელიც რვა მომხრე ხმით 66-ის წინააღმდეგ ჩავარდა. პარლამენტი ცვლილებათა პაკეტს მესამე მოსმენით, სავარაუდოდ, მომავალ სასესიო კვირას მიიღებს.

მემუქრებოდნენ, რომ ჩემს თვალწინ გააუპატიურებდნენ!

„მემუქრებოდნენ, რომ ჩემს თვალწინ გააუპატიურებდნენ პატიმრებს და შემდეგ მათთან საკანში ჩამსვამდნენ“, — ამის შესახებ ფოტორეპორტიორმა გიორგი აბდალაძემ სასამართლოში დაკითხვისას განაცხადა. აბდალაძემ საქმეში მონაწილე ამ დრომდე უცნობი გვარები დაასახელა. ერთ-ერთი ასეთია ვიქტორ ყაჭეიშვილი, რომელიც გლდანის მერვე საპყრობილის ადმინისტრაციის ყოფილი თანამშრომელია. აბდალაძის განცხადებით, სწორედ ყაჭეიშვილის მხრიდან იყო მუქარა გაუპატიურების შესახებ.

მისივე თქმით, ზურაბ ქურციკიძე თავის ჩამოხრჩობას აპირებდა.

„სასამართლოში როცა წაგვიყვანეს, განადგურებული ირაკლი გედენიძე ვნახე. მანამდე მოდულში ადვოკატმა მითხრა, რომ გედენიძეებმა წარდგენილი ბრალი აღიარეს. მივხვდი, რაშიც იყო საქმე. მახსოვს, ზურამ მანიშნა ხელით რაღაც, მივხვდი, რომ თავის ჩამოხრჩობას აპირებდა. ვანიშნე არ ქნა, ჩვენი სიმართლის დასამტკიცებლად უნდა ვიბრძოლოთ-მეთქი“, — განაცხადა აბდალაძემ.

მოწმემ გლდანის ციხეში ციხის დირექტორისგან მუქარაზეც ისაუბრა, რომელიც მისი თქმით ეუბნებოდა, რომ ციხიდან მისი ბრალდების მუხლით ცოცხალი ვერავინ გადისო.

კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსანი დავით დევნოზაშვილი ე.წ. ფოტოგრაფების საქმეზე საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 2016 წელს დააკავა. საუბარია 2011 წელს ჯაშუშობის ბრალდებით ოთხი ფოტოგრაფის — ზურაბ ქურციკიძის, ირაკლი და ნათია გედენიძეებისა და გია აბდალაძის დაკავების საქმეზე. ფოტოგრაფები მოგვიანებით საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გაათავისუფლეს.



სახელად ბოლივუდი

ერთი წამითაც არ იფიქრო ძვირფასო მკითხველო, რომ ამ წერილში ინდოეთის კინოინდუსტრიის ცენტრზე მქონდეს საუბარი. არა და არა, რადგანაც როგორც ბოლო დღეებში ხელისუფლების უმაღლეს შტოებში გაკეთებულმა განცხადებებმა გვაჩვენა, სავარაუდოდ, სულ მალე საქართველოს სახელი გადაერქმევა და ბოლივუდით ჩანაცვლდება.

ქალბატონი გუგული მაღრაძისგან, რბილად რომ ვთქვა, უცნაურ გამონათქვამებს უკვე მივეჩვიეთ, მაგრამ თამბაქოს მოწევის საწინააღმდეგო კანონპროექტთან დაკავშირებით გაკეთებულმა განცხადებებმა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დეპუტატი ქალბატონი თვლის, რომ მოწევა მხატვრულ ფილმებში ნაკლები დოზით უნდა ჩანდეს და სადაც ჩანს, ის დაფარული უნდა იყოს ყვავილით.

თურქებმა გააკეთეს ასე, რომ სიგარეტის ადგილზე ყვავილია ტუჩთან. ეს ახლა ცოტა კომიკური შეიძლება იყოს, მაგრამ, მეორე მხრივ, არ აღძრავს სწორედ იმ დადებით დამოკიდებულებას სიგარეტის მწეველთა მიმართ სწორედ იმის გამო, ცოტა სასაცილო და ირონიული შეიძლება იყოს. ახლა თუ იქ ისეა, რომ თუ სიგარეტი არ გამოჩნდა, დაიქცევა ქვეყანა და დაიქცევა ფილმი, მე ნაკლებად მიმაჩნია, რომ ასეთი ფილმები არსებობს. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, არ იყოს გამოხატული ფილმში მოწევა, ახალგაზრდებში მოწევის მაპროვოცირებელი.

ძალიან მაინტერესებს, თუ როგორ წარმოუდგენია ქალბატონ გუგულის მილოშ ფორმანის თერთმეტგზის ოსკაროსანი ფილმის „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ სცენა, სადაც ჯეკ ნიკოლსონი საავადმყოფოს პაციენტებს სიგარეტზე რომ ეთამაშება? თანაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ფრაგმენტს საკმაოდ დიდი დატვირთვა აქვს.

...წარმოიდგინეთ, რომ ეს ინიციატივა ძალაში შევიდა, კანონის სახე მიიღო და ჯეკ ნიკოლსონი ყვავილებს, ან „მომპასის“ კანფეტებს უგებს თავის თანაპალატელებს.

ცხადია, რომ ეს განცხადება სერიოზული მსჯელობის საგანი არ გამხდარა და საზოგადოებას ჯანსაღი ქილიკის საბაბი მიეცა, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა არ დაახანა და ძალიან მალე მეორე განცხადება გამოაცხო: **როდესაც სიმპათიური ახალგაზრდა ადამიანები ძალიან მოხდენილად ეწევიან, ეს შეიძლება მიღებულ იქნას, როგორც მისაღები ქცევა. ჩვენ შევთანხმდით (შეთანხმდნენ!!!), რომ რადგანაც ეს შეიძლება ესთეტიკურად და ტექნიკურადაც არ იყოს ადვილი განსახორციელებელი, ჩვენ ჩავდეთ (მათ ჩადეს!!!) ასეთი მოთხოვნა, რომ ასეთი ფილმების ჩვენების წინ უსათუოდ უნდა იყოს სარეკლამო რგოლი ან გაფრთხილება იმის შესახებ, თუ რა დამაზიანებელი ეფექტი აქვს თამბაქოს მოწევას. ასე რომ, ეს ამბავიც გავითვალისწინეთ (გაითვალისწინეს!!!).**

კიდევ კარგი, რომ ამ კანონპროექტის ავტორები მიხვდნენ, რომ თურქეთისგან განსხვავებით, საქართველოში სიგარეტის ყვავილებით ჩანაცვლების არც ტექნიკური საშუალებები და არც ფინანსები გაგვაჩნია. სამაგიეროდ, ქალბატონ გუგულის სულში კომუნისტური ეპოქის კინოჟურნალები ამოტივტივდა, სადაც ფილმის დაწყებამდე პარტიის წარმატებებზე გადაღებულ ვიდეორგოლებს გვიჩვენებდნენ და „ფითილის“ სტილში გადაღებული მცირე ფილმების ჩვენება გადაწყვიტა, რომლებშიც მწეველები მკაცრად იქნებიან გაკრიტიკებულნი და დაცინვის ობიექტები გახდებიან.

მიშველეთ ვინმემ! არავინ ხართ მადლიანი?

* * *

რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, გუგული მაღრაძეს არც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ქალბატონი ნინო გვენეტაძე ჩამორჩა და იუსტიციის საბჭოს სხდომაზე, დღის წესრიგში სრული სერიოზულობით დადგა საკითხი სასამართლოს იმიჯის ასამაღლებლად, სხვადასხვა მედიასაშუალებებით შეკვეთილი სიუჟეტებისა და მოსამართლეებზე გადაღებული, პოზიტიური ვიდეორგოლების გაშვების შესახებ.

ეგ კი არა და ამ ორიოდე დღის წინ, ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე, ქალბატონმა ნინომ დახმარება დეპუტატებსაც სთხოვა: **„საზოგადოების ნდობის დაბრუნებაში თუ ხელს არ შეგვიწყობთ, დაზარალდება მთლიანად საზოგადოება“.**

რა თქმა უნდა, ძალიან დავინტერესდი ამ თემით და მოსამართლეზე გადასაღები მცირე ფილმის სინოპსისი „გამოვაცხვე“ (რა იცი, ეშმაკს არ სძინავს, იქნებ გადაიღონ კიდეც და როგორც საბჭოს იმ სხდომაზე ითქვა, საკმაოდ მსუქანი ჰონორარიც მომცენ).

მოსამართლისადმი მიძღვნილი პოზიტიური მოკლემეტრაჟიანი ფილმის სინოპსისი:

თენდება. ჩიტები ჭიკჭიკებენ. წყნარი მუსიკა. პირველივე კადრებიდან პოზიტივი იფრქვევა. კადრი გადადის ფოტოალბომზე, რომელიც სწრაფად იშლება, შემდეგ ტემპი იკლებს და კადრი ჩერდება ახალგაზრდა მამაკაცის ფოტოზე, რომელსაც ცალ-ცალი კალოში აცვია. შემდეგ კადრი გადადის ბინის შემოსასვლელთან, სადაც ის ახალგაზრდა მამაკაცი, უკვე თმაშევერცხლილი შარვალ-კოსტიუმში გამოწყობილა და ტყავის პალტოს და რეზინის ჩექმებს იცვამს.

შემდეგი კადრია ქუჩა. მამაკაცი ამაყად მიაბიჯებს და გზადაგზა მტრედებსა და უპატრონო ცხოვლებს აპურებს. ბედნიერი მოქალაქეები სიხარულით ესალმებიან თმაშევერცხლილ მამაკაცს. უახლოვდება „მრავალნაკოლკიანი“ კაცი და მადლობას უხდის იმის გამო, რომ მის მიმართ მოსამართლემ შეკრებითობის პრინციპი გამოიყენა და 3-წლიანი სასჯელის ნაცვლად, 27 წელი მისცა. მას ციხეში ფიქრის დრო ჰქონდა და ცუდ გზას აღარ დაადგა.

ჩერდება 01 ჟიგულის მარკის თეთრი შელანძღული მანქანა. გადმოდის მძღოლი და მადლობას უხდის, რომ თავის დროზე, ამ მოსამართლემ ბიზნესი წაართვა, რის შედეგაც საქმე მოაკლდა და ოჯახთან და მეგობრებთან ურთიერთობისთვის 24 საათი დაუტოვა.

ხვდებიან დედები, რომლებიც მადლობას უხდიან იმის გამო, რომ მათ შვილები ციხეში გაუშვა ჩადებული ნარკოტიკების გამო. არ გაითვალისწინა ჭეშმარიტი გარემოებები და ამით ის ბიჭები მიხვდნენ, თუ რა ცუდია ნარკოტიკის მოხმარება.

ჩიტები კვლავ ჭიკჭიკებენ. მზე მთელი ძალით ანათებს და ისმის მჭექარე, პოზიტიური მუსიკა.

* * *

ხუმრობა გვერდით გადავდოთ და ქალბატონ ნინოს მინდა, ვურჩიო: საზოგადოების ნდობის დაბრუნებაში ვერც პარლამენტარები დაგეხმარებიან, ვერც პოზიტიური ვიდეორგოლები და ვერც ნაყიდი ჟურნალისტები. ვერ დაგეხმარებიან, რადგანაც „მოსამართლე“ არც ნაყინია, არც შოკოლადი და არც რაიმე პროდუქტი, რომელსაც რეკლამა სჭირდება.

სასამართლო სისტემას ნდობა მოსამართლეებმა უნდა დაუბრუნონ, პატიოსანმა, გაუსვრელმა, კომპეტენტურმა და პირუთვნელმა მოსამართლეებმა.

მოსამართლეობა უდიდესი და უმძიმესი ტვირთია. უმძიმესი ტვირთია, განსაჯო სხვა ადამიანი, თქვა, რომ ის დამნაშავეა, ან უდანაშაულო და ამის თქმის უფლება, დედამიწაზე ღმერთმა და ხალხმა მოსამართლეებს დააკისრა.

დაფიქრდით, გადახედეთ თქვენს მოსამართლეებს და ჯერ საკუთარ თავს უთხარით, რამდენს აქვს უფლება, ერქვას მოსამართლე, ხოლო შემდეგ იფიქრეთ საზოგადოებაში დაკარგული ნდობის დაბრუნებაზე.

არადა, იუსტიციის საბჭოს იმ სხდომამ, 2011 წლის 13 იანვარი გამახსენა, როდესაც იუსტიციის მინისტრის მაშინდელმა მოადგილემ გიორგი ვაშაძემ, იმედისა და „რეალ-ტვ“-ის „ჟურნალისტები“ დააჯილდოვა 2010 წლის განმავლობაში „ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის“. ეს ყველაფერი არა მხოლოდ არაპოზიტიურ განწყობას იწვევს, არამედ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს მიმართ ძალიან, ძალიან ცუდ დამოკიდებულებას.

მე შემიძლია, გავუგო ჰიმლერს, გავუგო ბერიას, გავუგო... ადეიშვილსაც კი გავუგო, რადგანაც მათ ჰქონდათ იდეა, ფსიქიკაში გამჯდარი საშინელი იდეა, მაგრამ მას ემსახურებოდნენ.

შემიძლია, გავუგო ალ კაპონეს, გავუგო ესკობარს, გავუგო ნებისმიერ კრიმინალს, რადგანაც მათ ჰქონდათ ძალაუფლების მოხვეჭის სურვილი, ფსიქიკაში გამჯდარი ძალაუფლების სურვილი და მას ემსახურებოდნენ.

შემიძლია, გავიგო ჯეკ მფატრავის, კლაიდის და ბონის, ჩიკატილოს ფსიქიური აშლილობა. გავიგო, რადგანაც მათ თავიანთი დაავადებიდან გამომდინარე, სხვაგვარად არ შეეძლოთ.

ზემოთ ჩამოთვლილ ადამიანებს წასვლა არ შეეძლოთ. არ შეეძლოთ, რადგანაც მათ თავიანთი ფსიქიკა და შინაგანი რწმენა სდევნიდათ.

ნამდვილად არ მესმის იმ დეპუტატების, ხელისუფლების წარმომადგენლების, იმ ხალხის, რომლებსაც კარგი ჯანმრთელობა აძვთ, წასვლა შეუძლიათ და არ მიდიან. წადით, სანამ დრო. წადით და თუ ჩასაჯდომები ხართ, ჩაჯექით იმ ციხეში. არაფერი ცუდი არ დაგემართებათ. ზის იქ ხალხი, იხდიან სასჯელს და გამოდიან. წადით ღირსეულად. დამერწმუნეთ, ვერასდროს ვერ იშოვით იმდენ ფულს, რომ იმ სიძულვილად და დაცინვად ღირდეს.

მერწმუნეთ, მთელი სიგულწრფელით გეუბნებით.

გია გაბრიჭიძე

ჯეჯელავას ოცნება – ვაშლით სავსე თასები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა აცხადებს, რომ მისი ოცნება სკოლებში ვაშლების თასის შემოღებაა.

როგორც ალექსანდრე ჯეჯელავამ აღნიშნა, შვედეთსა და სხვა ქვეყნებშიც არის სკოლებში ვაშლის ჯამების დადგმის პრაქტიკა.

„ვთქვი, რომ ჩემი ოცნება მთლად ცარიელი ოცნება არაა, შვედეთში არის ასეთი პროექტი და სხვა ქვეყნებშიც. ჩემ კოლეგას ვესაუბრები ამ თემაზე და დიდი იმედი მაქვს, რომ ოცნება ჯერ ნაწილ სკოლებში გადაიქცევა რეალობად და მერე საბოლოოდ ყველა სკოლაში იქნება ვაშლიანი თასები. ჩემ ოცნებაში უფასოა ეს ვაშლები. ოცნებას არ მოყოლია დათვლილი ხარჯები, თუმცა, როდესაც განხორციელების ეტაპზე გადავალთ, აუცილებლად დავითვლით“, – განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

მისივე თქმით, ახალი რეგულაცია, რომელიც სკოლებში ჯანსაღი კვების დანერგვას გულისხმობს, ეტაპობრივად განხორციელდება და მთავარი მიზანია, რომ სკოლებში ეტაპობრივად აიკრძალოს არაჯანსაღი პროდუქციის გაყიდვა.

არც ერთი სკოლაში ოპტიმიზაცია და გაერთიანება არ იგეგმება

თბილისის №162 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი ჩაიშალა. პედაგოგები პროტესტის ნიშნად, გაკვეთილებზე არ შევიდნენ. მასწავლებლებისთვის მიუღებელი განათლების სამინისტროს ის გადაწყვეტილება აღმოჩნდა, რომლის მიხედვითაც, №162 და პირველი ექსპერიმენტული სკოლის ოპტიმიზაცია უნდა მოხდეს.

№162 სკოლის დირექტორმა მემორანდუმს ხელი უკვე მოაწერა. პედაგოგების თქმით, ეს გადაწყვეტილება მან მშობლებთან და პედაგოგებთან შეთანხმების გარეშე მიიღო.

პედაგოგების პროტესტს მშობლებიც შეუერთდნენ. მათი აზრით, სამინისტროს გადაწყვეტილება და დირექტორის მიერ აღნიშნულ მემორანდუმზე ხელის მოწერა №162 სკოლის დახურვას გამოიწვევს.

„არც ერთი სკოლაში ოპტიმიზაცია და გაერთიანება არ იგეგმება“, – ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ №162 სკოლაში მიმდინარე მოვლენების კომენტირებისას მთავრობის სხდომის შემდეგ განაცხადა.

მინისტრმა აღნიშნა, რომ სკოლებს შორის გაფორმებული მემორანდუმი ოპტიმიზაციას არ ნიშნავს.

„განათლების სამინისტროს მთავარი მიზანია, სკოლებმა ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარონ. ჩვენ ბევრი შეხვედრა გვქონდა პედაგოგებთან. იყო დეტალური საუბარი ამ მემორანდუმთან დაკავშირებით. ჩვენი მიზანია, რომ სკოლებმა ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება და სიახლეები. რაც შეეხება შიშებს, რომ შესაძლოა, გაერთიანდნენ სკოლები ან ოპტიმიზაცია მოხდეს, ეს არასწორო შიშებია. მესმის, რომ შესაძლოა, წინა წლების გავლენის შედეგად აქვთ ეს შიშები, მაგრამ მსგავსი არაფერი იგეგმება. უფრო მეტიც – ამ პროცესში კერძო სკოლებსაც ჩავრთავთ“, – დასძინა განათლების მინისტრმა.

უკრაინის ანტიკორუფციული ბიურო ქართული მაფიის პოლიტიზებული ფილიალია!

უკრაინული პრესა, კერძოდ, „Газета по-українськи“ აქვეყნებს ვერხოვნა რადას (პარლამენტის) ყოფილი დეპუტატის ნიკოლაი მარტინენკოს ინტერვიუებს, რომელიც უკრაინის ანტიკორუფციული ბიუროს თანამშრომლებმა 22 აპრილს დააკავეს, თუმცა კიევის სოლომენსკის რაიონულმა სასამართლომ იგი წინასწარი პატიმრობიდან თავდებით გაათავისუფლა. „ცენზორში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ნიკოლაი მარტინენკო ნეგატიურად აფასებს უკრაინის ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობას:

„ნახევარი წელია, მამოწმებენ, მაგრამ დანაშაულის კვალი ვერ იპოვეს. მე ოპოზიციონერი ვიყავი ლეონიდ კუჩმასა და ვიქტორ იანუკოვიჩის პრეზიდენტობის დროსაც. მაიდანზეც ვიდექი დაწყებიდან დასრულებამდე. და გგონიათ, რომ ვიღაც უგლავებსიტნიკებისა შემეშინდება? (იგულისხმება გიზო უგლავა — ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს დირექტორი და არტემ სიტნიკი — მისი მოადგილე). უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიურო ქართული მაფიის პოლიტიზებული ფილიალია. ბიურო იგივე მეთოდებით მუშაობს, როგორითაც გიზო უგლავა თავის დროზე მუშაობდა, როცა იგი საქართველოს გენპროკურორის მოადგილე იყო მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში. ვინ ხელმძღვანელობდა ადამიანების წამებას, საპყრობილეებში მათ ჩაგდებას? ვისი ნებართვით ხდებოდა ეს ყველაფერი საქართველოში? წაიკითხეთ გაეროს ანგარიშები და ნახავთ, რომ საქართველოში, წამებისა და ზეწოლის გამო დაკავებულების 99% გამოძიებასთან გარიგებაზე მიდიოდა... გიზო უგლავა ყველაფერს ძველებურად აკეთებს, მის კვალს მოადგილეც მიჰყვება. შესაძლოა, მან არტემ სიტნიკს მიხეილ სააკაშვილის პარტიაში ადგილი შესთავაზა?“, — ამბობს ინტერვიუში ნიკოლაი მარტინენკო.

როგორც „Газета по-українськи“ იუწყება, უკრაინის ექსდეპუტატს პატიმრობიდან გათავისუფლების მიზნით თავდებად დაუდგნენ „სახალხო ფრონტის“ დეპუტატები და რამდენიმე მინისტრი — ლილია გრინევიჩი, ვლადიმირ ომელიანი და იგორ ჟდანოვი. მასალაში აღნიშნულია, რომ მიხეილ სააკაშვილმა თავმდები პირების მოქმედება მკაცრად გააკრიტიკა. ამასთან დაკავშირებით სტატიის ავტორი იხსენებს საქართველოში „ნაციონალების“ მთავრობის საქმიანობას და წერს: ექსპრემიერმა ვანო მერაბიშვილმა საქართველოს საბიუჯეტო თანხები უკანონოდ დახარჯა „ნაციონალების“ საარჩევნო კამპანიისთვის (დაახლოებით სამი მილიონი დოლარი). მერაბიშვილი ხაზინის თანხებს ფლანგავდა, მისი პარტიაკი გაიძახის, უკანონოდ ზის ციხეშიო. ჯანდაცვის ექსმინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილიც საკმაოდ აქტიურად ფლანგავდა ბიუჯეტის ფულს, ამომრჩევლების მოსყიდვის მიზნით.

„მიხეილ სააკაშვილი ნიკოლაი მარტინენკოს თავმდებებს აკრიტიკებს, მაგრამ რატომღაც ავიწყდება, რომ თავმდებად მის თანამზრახველებსაც დაუდგნენ. ასე, მაგალითად, დეპუტატი სერგეი ლეშენკო მარტში ინიციატივით გამოვიდა, რომ მისი თავმდებობით პატიმრობიდან გათავისუფლებულიყო საქართველოს ყოფილი გენკონსული ოდესაში თეიმურაზ ნიშნიანიძე, რომელიც გენერალურმა პროკურატურამ 17 მილიონი გრივნის მითვისებაში დაადანაშაულა“, — წერს სტატიის ავტორი **მარია ᲘᲣᲠᲩᲔᲜᲙᲝ**.

ვის სჭირდება მედიაომბუდსმენი?

1-2 მაისს თბილისში შეხვედრებს მართავდნენ ეუთოს ექსპერტები: მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის მრჩეველი ᲐᲘᲓᲐᲠ ᲑᲝᲢᲐᲒᲐᲠᲝᲕᲘ და ლიტვის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე ᲓᲐᲜᲘᲣᲡ ᲠᲐᲓᲖᲔᲕᲘᲩᲘᲣᲡᲘ. ხელისუფლების, ოპოზიციის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან საუბრის შედეგად ეუთოს ექსპერტებმა უნდა შეიმუშაონ კონკრეტული რეკომენდაციები საქართველოში არსებული მედიაგარემოს გაუმჯობესების მიზნით. თუმცა ამ ეტაპზე მედიასაშუალებებისა და ექსპერტების დიდი უმრავლესობა ხელისუფლების სუბიექტურ ინტერესებზე ლაპარაკობს, ინიციატივას ბუნდოვნად მიიჩნევს და ვერ ხედავს მედიაომბუდსმენის კონკრეტულ როლს ქართულ რეალობაში.

მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის მრჩეველი აიდარ ბოტაგაროვი და ლიტვის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე დანიუს რადზევიჩიუსი თბილისს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ მარტში გახმოვანებული ინიციატივის საფუძველზე ესტუმრნენ. 6 მარტს მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, რომელიც „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოს 3 მარტის გადაწყვეტილებას მოჰყვა, გიორგი კვირიკაშვილმა გარკვევით მიანიშნა, რომ **ოპონენტთა მედიაგარემოს განვითარებასთან დაკავშირებული შეფასებები ხშირად არ ემთხვევა რეალურ სურათს და რომ შექმნილი ვითარება მტკიცე რეპუტაციის მქონე უცხოელი ექსპერტების ჩართულობას მოითხოვს.**

„ამ ინსტიტუტმა მუდმივად უნდა აწარმოოს ჩვენს ქვეყანაში მედიაგარემოსა და მის განვითარებაზე დაკვირვება, მონიტორინგი და ეს უნდა შეეხოს როგორც „რუსთავი 2“-ის ირგვლივ არსებულ ვითარებას, ისე საზოგადოებრივ მაუწყებელში და ზოგადად მედიასივრცეში მიმდინარე პროცესებს“, — განაცხადა 6 მარტს პრეზიდიუმ „თავისუფლებას“, სახელისუფლებო გეგმებთან დაკავშირებით ინფორმაციის ნაკლებობა თავად ეუთოს ექსპერტებსაც ეტყობოდათ:

„სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგეთ, რაზე ვმსჯელობდით. იყო ძირითადად ალბათობები: ხელისუფლება ამას ხომ არ გულისხმობს, იმას ხომ არ გულისხმობსო! ჩვენ შევეცადეთ, დაგვენახვებინა მათთვის, რომ, რეალურად, ქვეყანაში არსებობს როგორც რეგულირების, ასევე თვითრეგულირების მექანიზმები, რომლებიც შესაძლებელია, გამოყენებული იყოს ზუსტად იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რაზეც, ხელისუფლება ფიქრობს, რომ მედიაომბუდსმენის ინსტიტუტის ჩამოყალიბებამ უნდა იქონიოს დადებითი გავლენა. თუკი ხელისუფლებას ნამდვილად სურს, რომ ქვეყანაში მედიაგარემო გაუმჯობესდეს, მაშინ ამისათვის არ გვჭირდება ახალი სახელმწიფო ინსტიტუტის შექმნა“.

ნატა ძველიშვილის განმარტებით, სხვადასხვა ქვეყანაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, მედიაომბუდსმენს აქვს ორი ძირითადი ფუნქცია: ის განიხილავს ჟურნალისტების წინააღმდეგ შეტანილ საჩივრებს, რასაც დღეს საქართველოში აკეთებს „ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ და ის იცავს ჟურნალისტთა უფლებებს, რაც დღეს საქართველოში სახალხო დამცველის ფუნქციებში შედის. ნატა ძველიშვილის თქმით, ძირითად პრობლემას წარმოადგენს პოლიტიკური ნების არარსებობა და ის, რომ ხელისუფლება იგნორირებას უკეთებს ადგილობრივ მექანიზმებს, მაგრამ თუკი მაინც უცხოელების ჩართვა სურს, ხელისუფლებას შეუძლია, მოიწვიოს უცხოელი მედიაექსპერტები, მაგრამ აბსოლუტურად უსარგებლოა ახალი ინსტიტუტის შექმნა.

ამასთან, „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ აღმასრულებელი დირექტორი არ იზიარებს ხელისუფლების კმაყოფილებას საქართველოში არსებულ მედიაგარემოსთან დაკავშირებით. ნატა ძველიშვილის შეფასებით, ამჟამად აშკარად გაუარესებულია 2013 წლისთვის მიღწეული შედეგი: „კატასტროფულ მდგომარეობაშია“, მაგალითად, საჯარო ინფორმაციის გაცემის მაჩვენებელი და ძალიან გართულებულია კომუნიკაცია ხელისუფლებასთან.

მედიაომბუდსმენის როლისა და ფუნქციების შესახებ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა დარჩათ 2 მაისის შეხვედრის მონაწილეებსაც. ეუთოს ექსპერტებთან შეხვედრის შემდეგ გამოიხატა სხვადასხვა სახის ეჭვები ხელისუფლების ინტერესებთან დაკავშირებით. მაგალითად, „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის მოადგილის ნინო ნაკაშიძისთვის გაუგებარია, ვისგან უნდა დაიცვას ხელისუფლებამ თავის მიერ შექმნილი მედია:

„ძირითადში, ყველა იმ პრობლემის წყარო, რომელიც აქ (შეხვედრაზე) იყო ჩამოთვლილი, ეს არის ან ხელისუფლების ზემოქმედება, ან სასამართლოს გამოყენება მედიების წინააღმდეგ... ამიტომ ჩვენთვის მთავარია, რომ უკვე არსებულ ინსტიტუტებს მისცენ მუშაობის საშუალება“.

ᲚᲔᲚᲐ ᲙᲣᲜᲭᲣᲚᲘᲐ.

P. S. **ᲛᲔᲓᲘᲐᲝᲛᲑᲣᲓᲡᲛᲔᲜᲘᲡ ინსტიტუტის საჭიროებას სკეპტიკურად უყურებენ სახალხო დამცველი და საპარლამენტო ოპოზიცია.**

რაც შეეხება ხელისუფლების აზრს, ა.წ. მარტის დასაწყისში პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავად განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, რომ მედიაგარემოს განვითარებასთან დაკავშირებული ოპონენტთა შეფასებები ხშირად არ ემთხვევა რეალურ სურათს და საქართველოში არსებული მედიაგარემოს გასაუმჯობესებლად საჭიროა მედიაომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნა.

ლ. კ.

მისი სული ყოველთვის თავის ქვეყანასთან და ხალხთან იყო

ვიქტორ მესხიშვილის მოგონება

2017 წლის 2 იანვარს 90 წელი შეუსრულდებოდა ღვაწლმოსილ პედაგოგსა და შესანიშნავ აღმზრდელს ვიქტორ მესხიშვილს, რომელიც შარშან, 2016 წლის 15 დეკემბერს აშშ-ში ემიგრაციაში გარდაიცვალა.



ვიქტორ მესხიშვილი დაიბადა 1927 წლის 2 იანვარს ქ. თბილისში რევაზ და სიდონია მესხიშვილების ოჯახში. მან დაამთვარა იმ დროისათვის სახელგანთქმული თბილისის მე-3 საცდელი სკოლა, რომელიც დღეს თბილისის 23-ე სკოლადაა წოდებული.

შემდგომ მან სწავლა განაგრძო თეატრალურ სტუდიაში, სადაც მის გვერდით სწავლობდნენ ქართული თეატრისა და კინოს მომავალი ვარსკვლავები: ლეილა აბაშიძე, ოთარ კობერიძე, ელენე ყიფშიძე, ედიშერ მაღალაშვილი.

თეატრალური სტუდიის დასრულების შემდეგ მან მუშაობა დაიწყო ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში და სამი სეზონის განმავლობაში მოასწრო ისეთი საინტერესო სახეების შექმნა, როგორიც არის მეფე დონ ფერდინანდი (ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“), მეფე ერეკლე (ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატი“), ჰოფმარშალი ფონ კალბი (ფრიდრიხ შილერის „ვერაგობა და სიყვარული“), რაბინი ბენ აკიბა (კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტა“).

1951 წელს მან გადაწყვიტა პროფესიის შეცვლა და სწავლა განაგრძო ლენინგრადის უცხო ენათა ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაასრულა. აქვე აღსანიშნავია, რომ სწავლის პერიოდში მან დადგა სტუდენტური სპექტაკლი „რომეო და ჯულიეტა“, სადაც ჯულიეტას როლში, მისი მომავალი მეუღლე ქალბატონი მაია ჟარკოვა მონაწილეობდა.

1963-1966 წ.წ. ბატონი ვიქტორი წარგზავნილი იყო თარჯიმნად ირანსა და ავღანეთში.

1967-1968 წ.წ. მუშაობდა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების კულტურის განყოფილების გამგედ.

ვიქტორ მესხიშვილმა მრავალი წლის განმავლობაში იღვაწა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა ინსტიტუტში. იყო ინგლისური ენის კათედრის დოცენტი და ზეპირი მეტყველების ლაბორატორიის სამეცნიერო ხელმძღვანელი. ის ერთი იმათგანია, რომელთა თაოსნობითაც ინსტიტუტში ახლად გაიხსნა ფონეტიკის კათედრა. ბატონი ვიქტორი მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა თუ პრაქტიკული სახელმძღვანელოს ავტორია; მათ შორის აღსანიშნავია „ინგლისური ენის ფონეტიკის შესავალი კურსი“, რომელიც აკადემიკოს გიორგი ახვლედიანს მიუძღვნა.

ბატონი ვიქტორი დიდ დროს უთმობდა სტუდენტებთან მუშაობას და სწორედ აქ გამოადგა თავისი თეატრალური განათლება; ვის არ ახსოვს უცხო ენათა ინსტიტუტში რამდენიმე წლის განმავლობაში მის მიერ ინგლისურ ენაზე დადგმული ინგლისელი და ამერიკელი ავტორების მოტივებზე შექმნილი სპექტაკლები. უილიამ შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, ჩარლზ დიკენსის „პიკვიკის კლუბი“, ამერიკული დიალოგების მთელი სერია. სპექტაკლები უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა არა მხოლოდ სტუდენტებში, არამედ ზოგადად თბილისის კულტურულ საზოგადოებაში.

ბატონ ვიქტორს არ შეეძლო ნიჭიერი სტუდენტის გვერდის ავლა. ამასთანავე, ვერ იტანდა ზარმაცებს, უქნარებს და ე.წ. „აქტივისტებს“. ახალგაზრდებისათვის არ იშურებდა წიგნებს საკუთარი ბიბლიოთეკიდან. შესვენების დროს მას ხშირად ნახავდით სტუდენტებთან მოსაუბრეს დერეფანსა თუ ეზოში. მან მრავალი თაობის აღზრდაში მიიღო მონაწილეობა, და სად არ ნახავთ მის სტუდენტებს დღეს...

ადრეული 1990-იანი წლებიდან, ბატონი ვიქტორი ცხოვრობდა ინგლისში, შემდეგ საფრანგეთში და საბოლოოდ აშშ-ში დასახლდა, კონექტიკუტის შტატის ერთ პატარა ქალაქში, სადაც ბოლო 16 წელი გაატარა თავის მეუღლესთან — მაიასთან ერთად. ქალბატონი მაია დიდი სიყვარულით, ყოველთვის მის გვერდით იდგა 60 წლის მანძილზე.

მიუხედავად მისი საცხოვრებელი ადგილისა, ვიქტორს არ განელებია საქართველოს სიყვარული და განიცდიდა ტკივილს საქართველოზე. იგი არ წყვეტდა მუშაობას; მან დაწერა და გამოაქვეყნა წიგნი „უფრთხილდით რუსულ დათვს“. დაწერა მრავალი სტატია, მათ შორის „ფიქრები საქართველოზე“, „ემიგრანტი“, „დაყავი და იბატონე“, „კონსტანტინე“, „მე და გალაკტიონი“ და სხვა.

ბატონმა ვიქტორმა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებისა და კონფლიქტების შესახებ, არაერთი წერილი მისწერა მისთვის დამახასიათებელი მაქსიმალისტური სტილით, ამერიკელ სენატორებს, სხვადასხვა ქვეყნების საელჩოებს აშშ-ში, საერთაშორისო ორგანიზაციებს. ყველა, ვინც ბატონ ვიქტორს იცნობდა, იცოდა, რომ მისთვის არ არსებობდა სირთულე ან წინააღმდეგობა, როდესაც საქმე სამშობლოს ინტერესებს და ზოგადად სამართლიანობისთვის ბრძოლას ეხებოდა. იგი ამაყობდა თავისი ოჯახით, მეგობრებით, ყოფილი სტუდენტებით. ბატონი ვიქტორი ბევრ ადამიანს ეხმარებოდა, მხარში ედგა და სანაცვლოდ, დიდ სიყვარულს იღებდა.

ბატონი ვიქტორი სიცოცხლის ბოლო დღეებში თავის საყვარელ ადამიანებს იხსენებდა და უხმობდა. თითოეული ეს ადამიანი მისგან ძალიან შორს, საქართველოში იმყოფებოდა... როდესაც აუხსნეს, რომ მათთან შეხვედრა შეუძლებელია, რადგან ისინი საქართველოში არიან, მან ჩაილაპარაკა — „ამას მნიშვნელობა არა აქვს...“

ისეთი ადამიანისათვის როგორიც ბატონი ვიქტორი გახლდათ, მანძილს არასდროს მნიშვნელობა არ ჰქონია. მისი სული კი ყოველთვის თავის ქვეყანასთან, ხალხთან იყო და ასე იქნება მუდამ.

ვიქტორ მესხიშვილის ოჯახის ახლობლები, კოლეგები და ყოფილი სტუდენტები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ მისი გარდაცვალების გამო და პატივს მივაგებთ მის ნათელ ხსოვნას.

მეგობრების, კოლეგების, მოწაფეების სახელით:
გიორგი კვირიკაშვილი, გელა ჩარკვიანი, დავით ონოფრიშვილი, ოთარ მათეშვილი, ნუგზარ რუხაძე, ზურაბ აბაშიძე, გივი მჟავანაძე, გოგა გორგილაძე, ირაკლი თოფურია, ზურაბ კაჭკაჭიშვილი, ლიანა თაბაგარი, ია და ირმა ონოფრიშვილები.

მოსამართლეები და უკანონოდ დარგული ხეები ბულვარში

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა ბათუმის ბულვარში ხეები უნებართვოდ დარგეს. აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს ინფორმაციით, ნერგების დარგვა ბულვარში სააგენტოსთან შეთანხმებული არ ყოფილა, ბათუმის ბულვარი კი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და ნებისმიერი სამუშაოს წარმოებას, რაც ბულვარს ეხება, კულტურული სააგენტოს ნებართვა სჭირდება.

კომენტარი ამ თემაზე „ბათუმელებთან“ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს იურისტმა მირზა ცეცხლაძემ გააკეთა, რომელმაც აღნიშნა, რომ ნეკერჩხლების დარგვის შესახებ სააგენტო ინფორმირებულია, თუმცა წერილობითი მოთხოვნა ბულვარის ადმინისტრაციისგან ნებართვის მიღებაზე არ მიუღიათ. სააგენტოს იურისტი განმარტავს, რომ უნებართვოდ განხორციელებული სამუშაო დარღვევას წარმოადგენს, თუმცა ვერ აკონკრეტებს რატომ არ რეაგირებს დარღვევაზე სააგენტო — **„ჩვენ ვამზადებთ გაფრთხლების წერილს. საკითხის გამოკვლევა მიდის, ჩვენ ველოდებით მათგან დოკუმენტაციის წარმოდგენას“**, — განუცხადა ცეცხლაძემ „ბათუმელებს“.

რაც შეეხება ბათუმის ბულვარის ადმინისტრაციას. როგორც მისი უფროსი აცხადებს, სააგენტოსთან სიტყვიერად იყო შეთანხმებული და ნებართვას აღარ დაელოდა.

სააგენტოსთან სიტყვიერად შეთანხმებული ვიყავი, დაგეგმარების პროექტი ვერ მოესწრო და ნერგები უკვე მიღებული მქონდა, ამიტომ აღარ დავლოდებივარ ნებართვას. დარგვის შესაბამისად ხდება პროექტის დაგეგმარება. შესაძლოა, ისე არ გამოვიდეს კარგი, როგორც თეორიულად ფიქრობ. ასე რომ, ამ დოკუმენტს უახლოეს დღეებში წარვადგენ სააგენტოში“ განუცხადა „ბათუმელებს“ ბათუმის ბულვარის ადმინისტრაციის უფროსმა ეთერ მაჭუტაძემ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გამწვანების აქციაში ჩაერთო. სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძემ, თავმჯდომარის მოადგილე თეიმურაზ ტუღუშმა და აპარატის თანამშრომლებმა წითელი ნეკერჩხლის, კამელიისა და მაგნოლიის ნერგები დარგეს. დარგულ მცენარეებს კი სიმბოლურად სასამართლოს გერბიანი ლენტები შეაბეს.

GEM FEST-ზე სასტუმროების დიდი ნაწილი დაჯავშნილია

ანაკლიაში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის ერთი ეტაპი დასრულდა.

პროექტი მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას სამიზნე რეგიონებში, განსაკუთრებით ანაკლიასა და განმუხურში, ელექტრონული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის (GEM Fest) გამართვასთან დაკავშირებით არსებული ინვესტიციებისა და შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენებაში.



პროექტის პირველი ეტაპის შედეგები ანაკლიაში ფესტივალ Gem Fest-ის ორგანიზატორებთან ერთად საინფორმაციო შეხვედრაზე შეაჯამეს. შეხვედრას ფესტივალის დამფუძნებელი გიორგი სიგუა, USAID-ის წარმომადგენლები, ტურიზიმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე და ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ერთ-ერთი ბენეფიციარის თქმით, მათ ტრენინგის ფარგლებში ისწავლეს ასევე თავიანთი სასტუმროების შესახებ ინფორმაციის booking.com-ზე და სხვა მსგავს საიტებზე განთავსება.

„ნათელი გზა გამოჩნდა, ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ და საით უნდა წავიდეთ. პირველი ჯავშანი შვეიცარიიდან გვქონდა, ეს ძალიან სასიხარულოა, რადგან მთელი მსოფლიოა ჩართული“, — განაცხადა „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას, ანაკლიაში მცხოვრებმა მარინა თოდუამ.

დღეის მდგომარეობით, ანაკლია-განმუხურში, ასევე მის მიმდებარე ტერიტორიაზე პროექტის ბენეფიციართა ყველა საცხოვრებელი სახლი დაჯავშნილი ან გაყიდულია, როგორც მეზობელი ქვეყნებიდან, ისე ევროპიდან, ამერიკიდან, ბრაზილიიდან და ა.შ.

როგორც GEM Fest-ის დამფუძნებელმა და ორგანიზატორმა გიორგი სიგუამ „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას აღნიშნა, ფესტივალი Gem Fest-ი გინესის რეკორდების წიგნში შევა.

სიკეთითა და ერთგულებით გამორჩეული

ვლადიმერ მახარაძე – 60

მას ფარმაცევტისა და კაცობის ეთიკური კოდექსი არასოდეს დაურღვევია!

ამ ენამზე, მჭევრმეტყველი, საოცრად კოლორიტული კაცის „მშრალი“ ბიოგრაფია ასე უნდა დავიწყოთ:

ვლადიმერ მახარაძე დაიბადა შუახევის რაიონის სოფელ მახალაკიძეებში 1957 წლის 24 აპრილს.

გაიზარდა უპატიოსნესი მშობლების – ისრაფილ მახარაძისა და მერი მანელიშვილის დიდ ოჯახში. დაამთავრა სოფელ ოლადაურის საშუალო სკოლა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი წარჩინებით.

ვლადიმერ მახარაძე იყო ხელვაჩაურის რაიონის ცენტრალური რაიონული აფთიაქის უფროსი პროვიზორი (1978-1980), საბჭოთა არმიის ოფიცერი (1980-1982), აჭარის სააფთიაქო სამართველოს გასაღების განყოფილების უფროსი (1982-1983), აჭარის ცენტრალური სააფთიაქო ბაზის დირექტორი (1984-1985), ქ. ბათუმის №10 აფთიაქის მმართველი (1986-1991).

ვლადიმერ მახარაძე წარმატებული ქართველი ბიზნესმენია. მან ჯერ კიდევ 1990 წელს დააფუძნა ფარმაცევტული კომპანია „ჰეკატე“, რომელიც დარგში უხუცესი კომპანიაა საქართველოში. იგი ამავე კომპანიის უცვლელი გენერალური დირექტორია დღემდე. კომპანია აერთიანებს 11 აფთიაქს, საბითუმო ფარმაცევტულ ბაზას და სააფთიაქო სუპერმარკეტს.

ვლადიმერ მახარაძე იყო საქართველოს ფარმაცევტთა I და II ყრილობების დელეგატი; საქართველოს ფარმაცევტთა I საერთაშორისო კონგრესის წევრი, პირველი საერთაშორისო კონგრესის –„ჯანმრთელობა და წამალი“ და ასთმის ევროპის მეორე კონგრესის მონაწილე (2003); ფარმაცევტთა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილე (ხარკოვი, 2003); საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის I, II და III ყრილობების დელეგატი.

ვლადიმერ მახარაძე არის აჭარის ფარმაცევტთა რეგიონული ასოციაციის დაარსების უპირველესი ინიციატორი და ხელმძღვანელი 1996 წლიდან. გაზეთ „ფარმაკონის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორია 2005 წლიდან. არის ჟურნალ „ფარმაცევტული მაცნესა“ და გაზეთ „შუახევის“ სარედაქციო კოლეგიების წევრი. არჩეულია საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდიუმის წევრად და ამავე ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად.

ვლადიმერ მახარაძის ინიციატივით აჭარის ფარმაცევტთა ასოციაციის IV კონფერენციაზე (2003.07.01.) 2 ოქტომბერი გამოცხადდა ფარმაცევტის დღედ. იგი აღიარა საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდიუმმა (2006). მანვე შეიმუშავა „ფარმაცევტის ფიცის“ ტექსტი და ფარმაცევტის ეთიკური კოდექსი. ვ. მახარაძის ეს ორივე ინიციატივა მოიწონა და მიიღო საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის II ყრილობამ (2005 წლის 2 ივლისს).

ვლადიმერ მახარაძე იყო აჭარის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატი, ხელვაჩაურის რაიონის ურეხის საკრებულოს დეპუტატი.

2004 წლიდან დღემდე ვლადიმერ მახარაძე არის აჭარის მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის აჭარის სადროშოს გამგეობის წევრი.

ბიზნესის პარალელურად ვლადიმერ მახარაძე ეწევა სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ მოღვაწეობას. მან პროფესორ რამაზ სურმანიძესთან ერთად დააარსა ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტი (1991). იყო ამ ინსტიტუტის სოციალური ფარმაციის კათედრის გამგე (1997-2006), რექტორი (2010-2011). ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ფარმაციის დეპარტამენტის უფროსი, სრული პროფესორი (2007-2013). ამჟამად სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას აგრძელებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის 10 წიგნის (მათ შორის, 3 სახელმძღვანელოს), 25 სამეცნიერო ნაშრომისა და 200-ზე მეტი პუბლიცისტური წერილის ავტორი. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფარმაკოეკონომიკა, ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია და ეკონომიკა, ადმინისტრაციული და სოციალური ფარმაცია.

ვლადიმერ მახარაძეს გამოცემული აქვს წიგნები: 1. „ფარმაციის მარკეტინგი“ (თბილისი, 1998); 2. „ფარმაციის მენეჯმენტი“ (თბილისი, 1998); 3. „ფარმაციის ორგანიზაცია“ (ბათუმი, 2001); 4. „მხიარული ესკულაპები“ (ბათუმი, 2002); 5. „მეთოდური რეკომენდაციები რეგიონული და შიდასაავადმყოფო ფორმულარული სიების შედგენის შესახებ კარდიოლოგიური პრეპარატების მაგალითზე“ (ბათუმი, 2004); 6. „ფარმაცია“ (თბილისი, 2011); 7. „გულსისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალო საშუალებათა ფარმაკოეკონომიკური გამოკვლევა“ (ბათუმი, 2011); 8. „ჰეკატე-20“ (ბათუმი, 2011); 9. „მარეთის ხეობა“ (თანაავტორებთან ერთად, ბათუმი, 2011); 10. „მედიცინა და ფარმაცია ხატოვან აზროვნებაში“ (თბილისი, 2013).

ვლადიმერ მახარაძე გამოირჩევა თავისი საზოგადოებრივ-საქველმოქმედო მოღვაწეობით. არის აჭარის მწერალთა კავშირთან არსებული ცნობილი პოეტის ზურაბ გორგილაძის სახელობის ლიტერატურული პრემიის, ასევე მრავალი სასკოლო თუ სხვა სახის პრემიების ერთ-ერთი უპირველესი დამაარსებელი და მუდმივი სპონსორი.

ვლადიმერ მახარაძე სპორტის ქომაგი და მფარველიცაა, განსაკუთრებით ქართული ჭიდაობისა. არჩეული იყო აჭარის ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტად (2009-2010), აჭარის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ (2009-2012). არის ქართული ჭიდაობის აჭარის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. ყოველწლიურად ტარდება ვლადიმერ მახარაძის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში (2010 წლიდან).

ვლადიმერ მახარაძე დაჯილდოებულია აკადემიკოს იოველ ქუთათელაძის სახელობის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის საიუბილეო მედლით (2004), ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი პირადი წვლილის, მაღალი პროფესიონალიზმისა და აქტიური საზოგადო მოღვაწეობისათვის დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო მედლითა და საპატიო სიგელით; პოეტ ზურაბ გორგილაძის შემოქმედების პოპულარიზაციისათვის 2013 წელს მიენიჭა ზურაბ გორგილაძის სახელობის პრემია ლიტერატურის დარგში. წიგნისათვის „მედიცინა და ფარმაცია ხატოვან აზროვნებაში“ მიენიჭა აბუსერისძე ტბელის სახელობის პრემია.

მარეთის ხეობის მოსახლეობის წინაშე გაწეული ღვაწლისთვის ვ. მახარაძეს 2015 წელს მიენიჭა საპატიო მარეთელის წოდება. არის მრავალი საპატიო სიგელის, დიპლომისა და სერტიფიკატის მფლობელი. მინიჭებული აქვს წლის საუკეთესო ფარმაცევტ-ორგანიზატორის (2004) წოდება. დასახელებულია აჭარის წლის საუკეთესო ბიზნესმენად (2004). მისი ბიოგრაფია შესულია წიგნში „საქართველოს სამედიცინო კალენდარი“ (2006 და 2010), ხოლო ოჯახი შეტანილია წიგნში „საქართველოს საპატიო ოჯახები“ (2010).

ვლადიმერ მახარაძე მედიცინის დარგში გამორჩეული კაცია. ვლადიმერი, როგორც მაღალი კომპეტენციის მქონე კვალიფიციური სპეციალისტი, აგერ უკვე თითქმის ოთხი ათეული წელია წარმატებით ემსახურება მეცნიერულ და პრაქტიკულ ფარმაციას.

ვლადიმერ მახარაძე საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული, სამშობლოს სადარაჯოზე მდგომი, პატრიოტი, ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი გამორჩეული, აქტიური და ღირსეული წევრია. ის ყოველთვის იდგა იქ, სადაც სამშობლოს ყველაზე მეტად უჭირდა და ხმამაღლა გამოხატავდა თავის პოზიციას. ვლადიმერი სამშობლოს მოსიყვარულე წინაპართა ტრადიციების გამგრძელებელია.

ვლადიმერისთვის ყოველთვის უპირველესი იყო და არის წიგნი. ის ამ მხრივ სამაგალითო და მისაბაძია. მან ყველაზე მეტად იცის წიგნთან და ცოდნასთან დამოკიდებულების ფასი.

ვლადიმერ მახარაძე ქართული სიტყვის ქომაგია. იცის და უყვარს მისი ჯავარი და მუდამ ეფერება ქართულ სიტყვას. დასტურად აღნიშნულისა მოვიყვანდით აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, ცნობილი პოეტის, ბატონ დავით თედორაძის სიტყვებს: „ჩვენ ვწერთ – ვლადიმერი კი კითხულობს და ახმოვანებს“.

ვლადიმერ მახარაძე მეგობრობის ნიჭით გამორჩეული ვაჟკაცია, საოცრად ყურადღებიანი, ტკივილის გულთან მიმტანი, გამზიარებელი, ჭირის შემამსუბუქებელი და ლხინის დამამშვენებელი. მისი ქართული სუფრისადმი დამოკიდებულება და სუფრის ხელმძღვანელობა საყოველთაოდ აღიარებულია. ის ამ მხრივაც აგრძელებს წინაპართა ტრადიციებს. მისი თამადობის დროს ქართული სუფრა ნამდვილი აკადემიაა. ვლადიმერი დიდბუნებოვანი, ჰუმანურობით, სიკეთით და ერთგულებით დატვირთული ინტელიგენტია, რომელიც იმავდროულად იმედიანი და ყველას დასყრდენია. ვლადიმერი ხალისიანი, იუმორით სავსე, უბადლო ორატორია. იგი მუდამ ქართული საქმის კეთებითაა დაკავებული, ამიტომაცაა, რომ ასე უხდება და ამშვენებს ქათქათა ბათუმს და მის უსაყვარლეს ქვეყანას.

ბატონო ვლადიმერ, საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაცია გულითადად გილოცავს იუბილეს, გისურვებს ჯანმრთელ, ბედნიერ, ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს ქართული ფარმაციისა და ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაცია

 პოეზია, უპირველეს ყოვლისა!

იღვიძებს იმედი!..

იახსარი

ირმის კალოზე იახსარს სახელდახელო კოშკი აქვს,
დევების სისხლი მიასხას ცას – ამად შევა ომშია.
გადაერია ქაჯავეთს, ტევრი ბოროტი მობელა,
მთქმელები ძალას ხარჯავენ ფანდურზე
შესამკობელად.
ცით ჩამოსული კაცია, ძალაც იმად აქვს ულევი,
დაჰკრა და ნაცრად აქცია დევების სამჭედურები.
ვიდრემდე მტერს არ ეკვეთა, ქვეყანას მართლა
უჭირდა,
გადმოდიოდა წვეთ-წვეთა წყარო ურჩხულის
მუჭიდან.
ყანა რო აათავთავა კაცმა ჯალაბის იმედად,
დევმა ბოროტმა, ცხრათავამ, საჯეგად გამოიმეტა.
თვალი იმასაც მოვკარი – ხარი დაიკლა ზვარაკად,
სამსხვერპლომ იმ დღეს მოკვდავი უფალთან
ალაპარაკა.
და იახსარმაც ინება ჩამობრძანება ზეციდან,
გახმაურ-გაღარღილება და მტერს ბუნაგში
შესცივდა.
გადაერია ქაჯავეთს, ტევრი ბოროტი მობელა,
მთქმელები ძალას ხარჯავენ ფანდურზე
შესამკობელად.
ბოლო დევი რო დატორა, აბდელაურის ტბიდანა,
ამხელა ძალის პატრონმა ტანი ძლივს ამოიტანა.
შეწებილიყო ცის თვალი სისხლით – ბაყბაყს რო
ჩამოდნა;
ვინაც იახსარს გვიგზავნის, მშველელიც იგი გამოდგა.
შეივრდომ-შეიმხვეწარა ღვთით გაჩენილი
გვარ-ტომი
და ფეხზე დადგა ქვეყანა ასეთი გმირის პატრონი.
ლახტით რო საქმეს ასრულებს – ელვა ჰგონიათ
აქამდე,
ზაფრა შეჰყარა ავსულებს და ზეზეურად
დაქვავდნენ.
გადაერია ქაჯავეთს, ტევრი ბოროტი მობელა,
მთქმელები ძალას ხარჯავენ ფანდურზე
შესამკობელად.
სამძიმარს მხარი უმშვენა, წკვარამ ღამეშიც ინათა
და, როცა საყმოს უშველა, კვლავ ცაში
გაუჩინარდა.
დაგვშორდებოდა ვიდრემდის, დაგვინაწილა მხნე
სული,
ჩავთვლემთ? – იღვიძებს იმედი მითებშიც ლახტით
შესულის.

ვარსკვლავების მწყემსი

მარადიული შენა ხარ, მე – ხელის მუშა დღესო;
ტანზე მეხვევი ვენახად, სულში გადგმულო ფესვო;
ყოველ წელიწადს ხელახლა უნდა ვბარო და ვთესო;
ხირიმს ფალია ვუცვალო, ხანჯალი უნდა ვლესო;
პასუხი უნდა მოვთხოვო, ვინაც აგიქნევს ხელსო;
სიყვარულს უნდა გავუძლო,
ხანძარზე უფრო მწველსო;
ზურგი ვუჩვენო სიძულვილს,
მწკვარამ ღამეზე ბნელსო;
ძაღლი ვაყეფო თეოზე, ხოტბა
ვაკადრო მზესო;
მოლზე წამოვწვე გულაღმა და
ვარსკვლავები ვმწყემსო.

ზაალ ეგანოიძე,
ქუთაისი

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად

1930 წლის თებერვალში მთელი რიგი ორგანიზაციების, მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საერთო კრებების შუამდგომლობით სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება დააჯილდოოს ი.ბ. სტალინი წითელი დროშის მეორე ორდენით უზარმაზარი დამსახურებებისათვის სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. რამდენად ერთმმართველი ხელმძღვანელი იყო მაშინ სტალინი ქვეყანაში? მოხიბლული იყო ხელმძღვანელობით, სარგებლობდა თუ არა ხელისუფლებით? წარმოდგენა ამის შესახებ შეიძლება მივიღოთ, თუ გავიხსენებთ მოსკოვის ფ.ე. ძერჟინსკის სახელობის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში სათბობ-ფიზიკურ ფაკულტეტზე იაკობ ჯუღაშვილის შესვლის ისტორიას. როდესაც მან დოკუმენტები შეიტანა, ვერც მიმღებ კომისიაში, ვერც დირექციაში ვერ გაიგეს, რომ ეს სტალინის შვილი იყო. იმიტომ, რომ არავის დაურეკავს, არავის არაფერი უთხოვია. იაკობი იყო თავმდაბალი და წყნარი და ჩვეულებრივად შეიტანა დოკუმენტები. მისაღები გამოცდების დამთავრების შემდეგ ინსტიტუტის დირექტორს დაურეკეს და უთხრეს, რომ მასთან საუბარი სურს ამხანაგ სტალინს. დირექტორი აღელვებული იღებს ყურმილს:

— გისმენთ, ამხანაგო სტალინ!

— მითხარით, იაკობ ჯუღაშვილმა ჩააბარა გამოცდები, მიღებულია თქვენს ინსტიტუტში?

დირექტორს კი წარმოდგენაც არა აქვს, ვისზეა საუბარი...

1933 წლის დასაწყისში პირველი ხუთწლედი დამთავრდა ვადაზე ადრე. ამ წლის 8-დან 9 ნოემბრის ღამით სტალინის ოჯახში ტრაგედია დატრიალდა: მისმა მეუღლემ ნადეჟდამ თავი მოიკლა. „დესტალინიზატორთა“ ინტერპრეტაციით მის გარდაცვალებაში სტალინია დამნაშავე. ამის დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს. მოტივიც — მოკლა თავისი ცოლი — ქვეყნის ხელმძღვანელს ასევე არ ჰქონია. ჩვენს წინაშეა საყოფაცხოვრებო ტრაგედია. ნადეჟდა ალილუევას თვითმკვლელობის საალბათო მიზეზი ბანალური ეჭვიანობაა. ამ დროს არ შეიძლება გამოვრიცხოთ, რომ ცოლს განაწყობდნენ ქმრის წინააღმდეგ, იყენებდნენ ქალს, როგორც ინსტრუმენტს პოლიტიკურ ბრძოლაში. ამის შესახებ საუბრობდა ვიაჩესლავ მოლოტოვი:

სტალინი და ნადეჟდა ალილუევა

— „რას წარმოადგენდა ალილუევა? ამბობენ — მთლად ნორმალური არ ყოფილა.

— ის მაინც, როგორც ჩანს, ჯანსაღი ადამიანი იყო. ნერვები და სხვა რამ კი, მაგრამ არ შეიძლება მივიჩნიოთ არანორმალურად. მისი საქციელი არაა კარგი, ამაზე საუბარიც არ ღირს.

— რატომ მოიკლა მან თავი, ნუთუ სტალინი მას ასე ცუდად ეპყრობოდა?

— ის ცუდად არ ეპყრობოდა მას, თუმცა ეჭვიანობა შეიძლებოდა ყოფილიყო.

— სტალინი სეირნობდა, თუ რა? მას ხომ სამუშაო ჰქონდა...

— ის არ დასეირნობდა, მაგრამ ასეთ ადამიანზე შეიძლება ემოქმედა...

— ხალხში დაბეჯითებით ლაპარაკობენ წერილზე, რომელიც ნადეჟდამ დატოვა. ამბობენ, სტალინის გარდა, ის მხოლოდ მოლოტოვმა წაიკითხაო.

— რა დატოვა მან? პირველად მესმის. ჰო-ო. იგონებენ“.

ცოლის გარდაცვალების გამო სტალინი საშინლად შეძრწუნებული იყო. ის ამბობდა, რომ მასაც აღარ უნდა სიცოცხლე. მისი მარტო დატოვებისაც კი ეშინოდათ. ამის შესახებ წერდა სტალინის ქალიშვილი სვეტლანა, ამის შესახებ ლაპარაკობდა ვიაჩესლავ მოლოტოვიც, რომელიც თავის საუბრებში რამდენჯერმე უბრუნდებოდა სტალინის მეუღლის თვითმკვლელობას.

— „ალილუევას გარდაცვალების მიზეზი უფრო საალბათოა — ეჭვიანობა.

— ეჭვიანობა, რასაკვირველია. ჩემი აზრით, სრულიად უსაფუძვლო იყო. დალაქი ქალი, ვისთანაც სტალინი მიდიოდა გასაკრეჭად. ცოლი ამის გამო უკმაყოფილო იყო. მეტად ეჭვიანი, ეს რატომ, რისთვის? ასეთი ახალგაზრდა...

1932 წლის 7 ნოემბრის შემდეგ ჩვენ გვქონდა დიდი კამპანია ვოროშილოვის ბინაზე. სტალინმა პურის პატარა გული ხელით გასრისა, დაამრგვალა და ყველას თვალწინ ეს ბურთულა ეგოროვის ცოლს ესროლა. მე ეს დავინახე, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. თითქოს ამან ითამაშა რაღაც როლიო. ალილუევა, ჩემი აზრით, ცოტა ფსიქოპათი იყო. მასზე ყოველივემ ამან იმოქმედა ისე, რომ უკვე აღარ შეეძლო თავი აეყვანა ხელში. იმ საღამოს ის ჩემს ცოლთან პოლინა სემიონის ასულთან ერთად წავიდა. ისინი სეირნობდნენ კრემლში. ეს იყო გვიან ღამით, და ის ჩიოდა ჩემს ცოლთან, რომ ეს არ მოსწონდა, ის არ მოსწონდა... უბრალოდ კი იყო ასე, სტალინმა ცოტა დალია, ხუმრობდა. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მაგრამ ქალზე იმოქმედა.

ალილუევა ეჭვიანობდა მასზე. ბოშის სისხლი. იმ ღამით მოიკლა მან თავი. პოლინა სემიონის ასული გმობდა მის საქციელს, ამბობდა: „ნადია არ იყო მართალი. მან ის ასეთ რთულ პერიოდში მიატოვა!“ რა დამამახსოვრდა? სტალინმა აიღო პისტოლეტი, რომლითაც მისმა ცოლმა თავი მოიკლა და თქვა: „პისტოლეტი სათამაშოა, წელიწადში ერთხელ ისროდა“. პისტოლეტი იყო ნაჩუქარი, ის, მგონი ქვისლმა აჩუქა... „ცუდი ქმარი ვიყავი, არასოდეს არ მეცალა, რომ კინოში წამეყვანა“, — თქვა სტალინმა. ხმა გაავრცელეს, რომ ცოლი სტალინმა მოკლა. არასოდეს მინახავს მე ის მტირალი. აქ კი ალილუევას კუბოსთან დავინახე, რომ მას ცრემლები წამოუვიდა...“ (ფ.ჩუევის წიგნიდან „ას ორმოცი საუბარი მოლოტოვთან“).

მაგრამ ქვეყნის ბელადს არ ჰქონდა უფლება, მისცემოდა მწუხარებასა და ნაღველს. პირად ტკივილსა და პირად უბედურებას არ უნდა მოეწყვიტა ის რეალობას. ქვეყანას ხელმძღვანელი სჭირდებოდა. მეორე სტალინური ხუთწლედი მრეწველობის დარგში შესრულდა 1937 წლის აპრილისთვის, ვადამდე — ოთხ წელსა და სამ თვეში. უმძიმესი წლებისა და მთელი ქვეყნის ძალების დაძაბვის შედეგი იყო ჩამორჩენილი მეურნეობის აღჭურვა მანქანების, ჩარხებისა და წარმოების სხვა იარაღის უზარმაზარი ოდენობით. როდესაც რუსეთის დღევანდელ მცხოვრებლებს არ შეუძლიათ გაიგონ, თუ სსრ კავშირის მაშინდელ მცხოვრებლებს რატომ უყვარდათ სტალინი, მათ ავიწყდებათ, რომ სიამაყის გრძნობა აღავსებდა მაშინ თითოეულს. ყველა ხედავდა უმძიმესი შრომის შედეგებს, ახალ ქარხნებსა და ფაბრიკებს. აი, სსრ კავშირის ომისწინა ეკონომიკის სტალინური ხელმძღვანელობის შედეგების თვალსაჩინო ციფრები: **„ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პოლიტიკის შედეგად საბჭოთა კავშირში 1940 წლის განმავლობაში წარმოებული იყო: 15 მილიონი ტონა თუჯი, ე.ი. თითქმის ოთხჯერ მეტი, ვიდრე მეფის რუსეთში 1913 წელს; 38 მილიონ 300 ათასი ტონა სასაქონლო ხორბალი, ე.ი. 17 მილიონი ტონით მეტი, ვიდრე 1913 წელს; 2 მილიონ 700 ათასი ტონა ბამბის ნედლეული, ე.ი. სამნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს.**

და ტექნიკა, ტექნიკა, ტექნიკა. რუსული ტრაქტორები და კომბაინები, რომლებიც არასოდეს გვქონია. შემდეგ გაჩნდება ახალი რუსული ტანკებიც, ქვემეხებიც და თვითმფრინავებიც. მთავარი პრობლემა ხდება არა ტექნიკა, არამედ ადამიანები, ვისაც მისი მართვა შეუძლია. იმავე დროს მიმდინარეობს ქვეყნის საკანონმდებლო ველის გადაკეთება. 1936 წელს სპეციალურმა საკონსტიტუციო კომიტეტმა სტალინის მეთაურობით შეიმუშავა ახალი კონსტიტუციის პროექტი. პროექტმა გაიარა საყოველაო-სახალხო განხილვა, რაც ხუთთვე-ნახევარი გაგრძელდა. ეს კონსტიტუცია მოიწონა და დაამტკიცა საბჭოების VIII ყრილობამ 1936 წლის 5 დეკემბერს. თავისი დროისთვის ეს იყო ყველაზე დემოკრატიული. ყველაზე მთავარი, რაც მასში იყო ახალი — ყველა მოქალაქე გახდა თანასწორუფლებიანი წარმომავლობის მიუხედავად. არადა, ხომ სწორედ წარმომავლობა განსაზღვრავდა ადამიანის ბედს საბჭოთა რუსეთში, დაწყებული 1917 წლის ოქტომბრიდან. სტალინურ კონსტიტუციაში დისკრიმინაცია არ ყოფილა. შესაძლებელია, ეს არის ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია დღეს. ხოლო როდესაც ვინმე მეტყვის, რომ ეს უბრალო ფორმალობაა, რომ კონსტიტუციისა და ტექსტის არსებობა მასში არაფერს არ ნიშნავს, შეეკითხეთ მას, რატომაა, რომ ხელისუფლების სათავეში სამოცი წლის განმავლობაში დედოფალმა ელისაბედ II რატომ ვერ გახადა ღირსი ქვეყანა მიეღო კონსტიტუცია? (დიდ ბრიტანეთში არაა კონსტიტუცია, არ არის ძირითადი კანონი, არც არასოდეს ყოფილა — ავტორის შენიშვნა).

ჩვენ შევეჩვიეთ ჩვენს ქვეყანაში მეხუთე კოლონის აქტივობის „დამთხვევას“ მის ეკონომიკურ წარმატებებთან და უკვე აღარც გაგვიკვირდება, რომ სწორედ 1937 წლისთვის (მეორე ხუთწლედის დასასრული) შინსახკომის ორგანოებმა დაიწყეს სერიოზული ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულებების დაცარვა, რომელთა უკანაც იდგნენ რეალური შეთქმულები, ვისაც ჰქონდა რეალური კავშირები დასავლეთის სპეცსამსახურებთან, ტროცკისთან და სხვა ემიგრანტულ წრეებთან. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დაწყების წერტილი სტალინსა (რუსეთი) და ოპოზიციას (დასავლეთის დაზვერვაში) შორის გახდა სერგეი მირონის ძე კიროვის — სტალინის უახლოესი თანამებრძოლისა და მეგობრისაც კი — მკვლელობა. საუბარი სტალინის მონაწილეობის შესახებ ამ მკვლელობაში — სრული გამონაგონია. აი, რა დაწერა თავის ჩანაწერებში სტალინის დაცვის უფროსმა გენერალმა ვლასიკმა: **„სტალინს ყველაზე მეტად კიროვი უყვარდა. უყვარდა რაღაც მგრძნობიარე, ნაზი სიყვარულით. ამხ. კიროვის ჩამოსვლები მოსკოვში და სამხრეთში სტალინისთვის ნამდვილი დღესასწაული იყო. ჩამოდიოდა კიროვი ერთი კვირით, ორი კვირით. ჩერდებოდა სტალინის ბინაზე და იოსებ ბესარიონის ძე არ შორდებოდა მას. 1934 წლის 1 დეკემბერს ლენინგრადში მოკლეს ს.მ. კიროვი. კიროვის სიკვდილმა შეძრა სტალინი. მე ჩავდიოდი მასთან ლენინგრადში და ვიცი, თუ როგორ იტანჯებოდა ის, განიცდიდა თავისი საყვარელი მეგობრის სიკვდილს“.**

ამასვე ამბობდა მოლოტოვი: **„სტალინს ის უყვარდა. ვამბობ, რომ ის სტალინის ყველაზე საყვარელი ადამიანი იყო. ის, რომ ხრუშჩოვმა ჩრდილი მიაყენა სტალინს, თითქოს მან მოკლა კიროვიო — ეს სისულელეა. მე და კიროვი მეგობრები ვიყავით. როგორც კიროვს, ჩემი მეხსიერებით, ისე ეპყრობოდა სტალინი, ალბათ, ჟდანოვს. კიროვის შემდეგ მას ყველაზე მეტად ჟდანოვი უყვარდა...**

— ეშინოდაო, ამბობენ, სტალინს, რომ ის შეიძლება შეცვალონ კიროვითო.

— აბსურდია! რატომ უნდა შინებოდა მას კიროვის? ა-არ-ა“.

და კიდევ ერთხელ დაუბრუნდა მოლოტოვი საუბარს კიროვის გარდაცვალების შესახებ.

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

სტალინი და კიროვი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-91

საქართველოს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი

ადამიანთა მეტყველებაში სიტყვა „მაგარის“ ხშირი ხმარების გენეტიკური და ფსიქოლოგიური საფუძვლები



მე-12 საუკუნის ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანში“ თითქმის ყოველი სიტყვა სხვადასხვა სინონიმით არის წარმოდგენილი. სამაგალითოდ, შესაძლოა, მოვიყვანოთ სიტყვა „ლამაზის“ აღმნიშვნელი ისეთი სინონიმები,როგორიცაა ვარდი, სოსანი, კენარი, უჭკნობი, მწყაზარი, კდემამოსილი, ლერწამი, ნახატი, ძოწეული, ოქრო, ბაჯაღლო, მთვარე, მზე და სხვა. ცხრა საუკუნის შემდეგ კი თანამედროვე ცივილიზაციის წევრი არათუ მხოლოდ სილამაზის ფენომენის, არამედ საერთოდ ყოველივე კარგის და დადებითის აღსანიშნავად უხშირესად მხოლოდ ერთ სიტყვა „მაგარს“ იყენებს. სახელდობრ, „მაგარი კაცი“, „მაგარი ქალი“, „მაგარი წიგნი“ და ასე შემდეგ. მეტიც, საქმე იქამდეა მისული, რომ ზედსართავი სახელის დამოუკიდებელი ხმარებაც კი აღარ არის საკმარისი მასში ჩადებული აზრის გამოსახატავად და მეტი სანდოობისათვის მასაც სიტყვა „მაგართან“ კომბინაციაში იყენებენ. სახელდობრ, „მაგარი ვაჟკაცი კაცი“, „მაგარი ლამაზი ქალი“, „მაგარი საინტერესო წიგნი“ და სხვა. ასე რომ, ამგვარი მიდგომით ყოველივე კარგი და დადებითი, რაც კი ოდესმე არსებობდა, ამჟამად არსებობს ან მომავალში იარსებებს, სულ „მაგარია“ და „მაგარი“. ამასთან ხაზგასასმელია, რომ ეს ცივილიზაციის მხოლოდ ქართული პანთეონისათვის არ არის დამახასიათებელი. მეტიც, სიტყვა „მაგარისადმი“ ამგვარი „მაგარი“ მიდგომა სხვა ქვეყნებშიც ხშირად არის აღნუსხული. სამწუხაროდ, ეს ადამიანთა მოდგმის უბრალო ახირება არ უნდა იყოს და მას შესაბამისი გენეტიკური და ფსიქოლოგიური საფუძვლები უნდა გააჩნდეს.

სახელდობრ, ჯანმრთელ ადამიანთა მიერ სიტყვა „მაგარის“ ხშირი ხმარების გენეტიკური პრობლემები შესაძლოა „Y“ ქრომოსომის ინვოლუციასთან ასოცირდებოდეს, რომელიც ადამიანთა პოპულაციაში, ეტყობა, დიდი ხანია, მიმდინარეობს. ბიბლიის სეპტუაგინისტური ვარიანტის მიხედვით, რომელსაც მართლმადიდებლები ეყრდნობიან და რომელიც ბიბლიის ყველაზე ძველი თარგმანია, სამყარო შემოქმედმა 7500 წლის წინ შექმნა, ადამიანი კი მამაკაცის და დედაკაცის სახით მოავლინა ამ სამყაროში, ამასთან, ადამი მიწის თიხისგან, ხოლო ევა – ადამის ნეკნისგან „ვეგეტატიური გამრავლების“ წესით შექმნა, ამ აქტით დედაკაცად კაცი ადამი იქცა და მის ყოველ შთამომავალს მისი სახელი მიეცა. ამ დღიდან მოყოლებული დღემდე ადამიანის შექმნის ყველა შემდგომი შემთხვევა მხოლოდ სქესობრივი გზით ხდება.

ამჟამად დედამიწაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, შვიდ მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, ხოლო შვედი მეცნიერის პ. გრიუნვალდის გამოანგარიშებით ცივილიზაციის დასაბამიდან დღემდე მცხოვრებ ადამიანთა რაოდენობა 107 მილიარდზე მეტს შეადგენს. ასე რომ, ამგვარი კოლოსალური რაოდენობის პიროვნების, თანაც იმგვარად რთულად მოწყობილის, როგორც ეს ადამიანია, სქესობრივი წესით გამრავლებისას ყოველთვის მოსალოდნელია გარკვეული შეფერხებები. ამგვარი შეუსაბამოებები კი უპირველესად მოვლენათა ჯაჭვის ყველაზე სუსტ რგოლში უნდა ხდებოდეს. ადამიანის გენეტიკურ აპარატში კი ყველაზე მოწყვლადი ეტყობა „Y“ ქრომოსომა არის. საქმე ის არის, რომ „Y“ ქრომოსომის მატარებელ მამაკაცის ორგანიზმს ამ ქრომოსომის არმქონე ქალის ორგანიზმზე მეტი აგრესია ხვდებოდა წილად. სწორედ ეს მამაკაცი იბრძოდა და სწორედ ეს მამაკაცი შრომობდა საუკუნეების განმავლობაში და ამით ქალის და ოჯახის სხვა წევრების ცხოვრებას უზრუნველყოფდა. თუმცა ასევე სწორედ ეს მამაკაცი ეწეოდა უფრო ხშირად თამბაქოს, ეტანებოდა ალკოჰოლს და ესწრაფვოდა ნარკოტიკს, რომლებიც ასევე უარყოფითად მოქმედებდნენ მის ორგანიზმზე. ამ თვალსაზრისით ისიც საგულისხმოა, რომ ქალის ორგანიზმისათვის წილხვედრი ორსულობა და მშობიარობა, თუმცა ბიოლოგიური ინფორმაციით დიდ დატვირთვას წარმოადგენს, მაგრამ ამ დროს მომხდარი ცვლილებები ეტყობა ქალის ორგანიზმის ერთგვარ „გაახალგაზრდავებას“ და მისი სიკვდილის გადავადებასაც უწყობს ხელს. ამის შედეგად კი იმავე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, ყველა ქვეყანაში კაცების სიცოცხლის ხანგრძლიობა ქალების სიცოცხლის ხანგრძლიობასთან შედარებით საგრძნობლად მცირეა. ეს ნათლად ჩანს პოსტკომუნისტური რეჟიმის ქვეყნების მაგალითიდანაც, სადაც კაცები ქალებზე რუსეთში 14 წლით, უკრაინაში – 11,8 წლით, ბელორუსიაში ასევე 11,8 წლით, ყაზახეთში – 10,9 წლით, აზერბაიჯანში – 8,8 წლით, ხოლო საქართველოში – 6,9 წლით ნაკლებს ცხოვრობენ. თუმცა ამის დასადასტურებლად იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ ჩვენს პლანეტაზე ყველაზე ხანგრძლივად, სახელდობრ 122,4 წელს მცხოვრები ფრანგი ჟანა კალმანი ქალი იყო და მანაც ყველაზე ხანგრძლივად მცხოვრებ მამაკაც იაპონელ სიგეშო იკუმისთან შედარებით 2,4 წლით მეტი იცხოვრა.

აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ უკანასკნელი წლების მეცნიერული კვლევების მიხედვით ადამიანთა ამჟამინდელი ცივილიზაციის ევროპული პოპულაცია საფუძველს, ეტყობა, 240000-350000 წლის წინათ შუა აფრიკის ტრამალებში მცხოვრები „მიტოქონდრიული ევას“ სახელით მონათლული ქალისგან უნდა იღებდეს, რომლის ყოველმა შთამომავალმა გასაოცარი მდგრადობა გამოამჟღავნა სიცოცხლის შესანარჩუნებლად. თუმცა ასეთი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამგვარად კოლოსალური რაოდენობის ინდივიდთა თანაცხოვრებისას, მათ შორის, მუდმივად ომების, კატასტროფების და სხვა მსგავს არასასურველ პირობებში თანაცხოვრებისას, ადამიანის გენეტიკური აპარატის ყველაზე მოწყვლად უბნებში მომხდარი შეფერხებები წესად და არა გამონაკლისად უნდა იქნეს აღქმული. მით უმეტეს, რომ ამ თვალსაზრისით უკანასკნელ წლებში წარმოებული შრომები მართლაც მიუთითებენ „Y“ ქრომოსომაში ინვოლუციური პროცესების ინტენსიურ მიმდინარეობას, რომლის შედეგადაც „Y“ ქრომოსომაში თავდაპირველად არსებული 1000 მეტი გენიდან დღეს მხოლოდ 86 გენი შემორჩა. ამასთან, მათი უმეტესობა ხშირად მეორდება. ასევე შესამჩნევია „მუნჯი“ და „დაღლილი“ გენების მომრავლებაც. მოვლენათა ამგვარი განვითარების შემთხვევაში კი ზოგიერთი მკვლევარის გათვლებით დაახლოებით 125000-150000 წლის შემდეგ „Y“ ქრომოსომამ, შესაძლოა, არსებობაც შეწყვიტოს. ყველაზე ძვირფასი, რაც ადამიანს გააჩნია ეს სიცოცხლეა და სიცოცხლის ამ გზაზე ადამიანთა უმეტესობის ქცევას სიამოვნების განცდის მიღება წარმოადგენს. ამ სიამოვნებას კი ყველაზე მარტივად, ყველაზე ხშირად და ყველაზე „უხვად“ ადამიანთა უმეტესობა სწორედ „Y“ ქრომოსომასთან ასოცირებული სექსუალური ურთიერთობების მეშვეობით ღებულობს. „Y“ ქრომოსომის შეფერხებული მუშაობის გამო დარღვეული სექსუალური ურთიერთობების შედეგად სიამოვნების შეგრძნების პროცესი საგრძნობლად რთულდება, სუსტდება და იშვიათდება. ეს კი, ეტყობა, თავისდაუნებურად „იწერება“ ადამიანის ქვეცნობიერში და ასევე თავისდაუნებურად „ჟღერდება“ ცნობიერის მიერ, თუმცა ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, სიკვდილის წინა პერიოდში ადამიანებს სიტყვა „მაგარის“ ხშირი ხმარების მოთხოვნა უქრებათ და ისევ აღუდგებათ, თუკი სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის ლიკვიდაცია და სიკვდილის გადავადება იქნა შესაძლებელი (ამ შრომის სრული ვერსია წარმოდგენილია ჟურნალში „Critical Care&-Catastrophe Medicine“ 2016, №29-30, www.CCCMJ.ge მისი მოძიება ასევე შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: www.Researchgate.net/profile/Zurab_Kheladze).

ზურაბ ხელაძე,
ზაზა ხელაძე.

დონალდ ტრამპი მაჰმუდ აბასს შეხვდა

დონალდ ტრამპი პალესტინის ავტონომიის ლიდერს, მაჰმუდ აბასს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო შეთანხმების მიღწევა რეალურია და მომავალში ეს აუცილებლად მოხდება. მაჰმუდ აბასმა კი აღნიშნა, რომ სამშვიდობო შეთანხმება ორი სახელმწიფოს ინტერესებისა და 1967 წლის საზღვრების გათვალისწინებით უნდა შედგეს. აბასთან შეხვედრამდე დონალდ ტრამპმა ვაშინგტონში ისრაელის პრემიერს უმასპინძლა. თეთრი სახლის ლიდერმა ბენიემინ ნეთანიაჰუს პალესტინურ ტერიტორიებზე ებრაული დასახლებების მშენებლობისგან თავის შეკავება ურჩია.

პოლონეთში რუსი ბაიკერი არ შეუშვეს

მოსკოვი ვარშავისგან განმარტებებს ითხოვს. საგანგებო განცხადება პოლონეთში რუსეთის საელჩომ მას შემდეგ გააკეთა, რაც რუსი ბაიკერი ქვეყნის ტერიტორიაზე არ შეუშვეს. ნიკოლაი ლოგინოვი ქალაქ მისლოვიცაში დააკავეს და უახლოეს ხანებში ქვეყნიდან გააძევებენ. ბაიკერს შესაძლოა, შენგენის ვიზაც გაუუქმონ. ლოგინოვი 9 მაისისადმი მიძღვნილ მოტორბოლაში იღებდა მონაწილეობას, რომელსაც რუს ბაიკერთა დაჯგუფება „ღამის მგლები“ მართავს.

ნავალნის საპრეზიდენტო კანდიდატად არ დაარეგისტრირებენ

რუსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს, რომ ალექსეი ნავალნის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვს. მიზეზად კომპანია „კიროვლესთან“ დაკავშირებით მიმდინარე სასამართლო პროცესი სახელდება. რუს ოპოზიციონერს „კიროვლესის“ თანხების გაფლანგვაში ადანაშაულებენ. აღნიშნულ საქმეზე ცოტა ხნის წინათ ქალაქ კიროვის საოლქო სასამართლომ წინა ინსტანციის სასამართლო ვერდიქტი ძალაში დატოვა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, ნავალნის 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. უფლებადამცველები და არასამთავრობო ორგანიზაციები კიროვის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას პოლიტიკურად მოტივირებულს უწოდებენ.

აისბერგები იმპორტით!!!

2018 წლიდან, აბუ-დაბის ეკო-კომპანია ანტარქტიდიდან არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში აისბერგების ტრანსპორტირებას გეგმავს. მიზეზი კი სუფთა სასმელი წყლის აკუმულირებაა. როგორც ირკვევა, საშუალო ზომის აისბერგი 20 მლრდ გალონ წყალს მოიცავს, რაც 5 წლის განმავლობაში 1 მლნ ადამიანს დააკმაყოფილებს. აღნიშნულის შესახებ განცხადება კომპანია National Advisor Bureau Limited-ის მმართველმა დირექტორმა აბდულა მუჰამედ სულეიმან ალ შეაიმ გააკეთა. Gulf News-თან ინტერვიუში მან განმარტა, რომ მიუხედავად სხვების სკეპტიკური დამოკიდებულებისა, მისმა კომპანიამ მსგავსი პროექტი უკვე განახორციელა. როგორც ირკვევა ერთი აისბერგის დანიშნულების ადგილამდე ჩატანას 1 წლამდე სჭირდება.

ასევე არაბეთის ზღვაში მოცურავე აისბერგები ტურისტებისთვისაც მიმზიდველი იქნება და ამით არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში კიდევ ერთი ტურისტული დანიშნულების ობიექტი გაჩნდება. ასევე აისბერგის შეტანა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში შეცვლის და იმოქმედებს კლიმატზე, რაც ადგილობრივ მოსახლეობას ძალიან ახარებს.

ოთარ აბესაძე: თბილისის ცენტრში კოლგოტების დახლი არ დაიდგმება!

გვესაუბრება თბილისის მერიის წარმომადგენელი საკრებულოში

— ბატონო ოთარ, ლისის ტბის მიმდებარედ დამწვარ ხეებთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაზე რა შეგიძლიათ თქვათ? შეესაბამება თუ არა ის სიმართლეს?

— ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია კერძო საკუთრებაა, რომელიც ეკუთვნის „ლისი დეველოპმენტს“. სამწუხარო რეალობაა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ხშირია ხანძრის გაჩენის ფაქტები. ყველაზე დიდი ხანძარი ამ ტერიტორიაზე იყო 2012 წლის აგვისტოში, როდესაც 8 ჰექტარზე მეტი მოიცვა. შემდეგი იყო 2016 წლის მაისში. ცხადია, ბუნება შეილახა. მაგრამ, თბილისის მერიის გამწვანების საქალაქო სამსახურის ძალიან დიდი ძალისხმევით გადარჩა და სიცოცხლე შეუნარჩუნდა აბსოლუტურად ყველა ხეს. შესაბამისად, ყოველგვარ აზრს მოკლებულია ის ინფორმაცია, რომ თითქოს ამ ტერიტორიაზე ხდება განაშენება და ამ მიზნით ვერაგულად ხდება გარკვეული ტიპის ხეების დაზიანება. ეს არის ტყუილი. თავად აღნიშნულმა კომპანიამ, რომელიც ფლობს ამ მიწის ნაკვეთს, დაადასტურა, რომ არანაირი ტიპის მშენებლობა არ იგეგმება. მე, როგორც თბილისის მერიის წარმომადგენელმა, შემიძლია დავადასტურო, რომ ამ ტერიტორიაზე რაიმე ტიპის მშენებლობასთან დაკავშირებით საუბარიც კი არ ყოფილა. შესაბამისად, პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ეს იყო მორიგი წინასაარჩევნო ტრიუკი და ჟონგლიორობა.

თუ არის ხეები დაზიანებული, ეს გამოიწვია ხანძარმა. თუკი საქმე გვაქვს რაიმე ვანდალურ აქტთან, რომელიც, შესაძლოა, კონკრეტულმა ადამიანებმა ამ ბოლო პერიოდში ჩაიდინეს, ამას გამოძიება დაადგენს. მაგრამ, ის აღვირახსნილი ტყუილი და პოპულიზმი, რასაც აკეთებს ლევან ხაბეიშვილი და მისი პოლიტიკური პარტია, არის მხოლოდ და მხოლოდ გამიზნული იმისთვის, რომ ძალიან მალე საქართველოში ჩატარდება თვითმმართველობის არჩევნები. ეს არის ტყუილი და „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“.

თუ ასე შესტკივათ გული საკუთარი ქალაქის გამწვანებაზე, ძალიან მარტივი გამოსავალი არსებობს. ყველას შეუძლია, იყიდოს ან ითხოვოს ბარი, თბილისის გარშემო ძალიან ბევრი ადგილია, სადაც ხეების

დარგვაა შესაძლებელი და დარგან ხეები, რასაც ჩვენ ვაკეთებთ!

— გარევაჭრობის აკრძალვასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ? რამდენად სწორად მიგაჩნიათ ეს პროექტი?

— ეს გახლავთ დედაქალაქის ცხოვრებაში უპრეცედენტო მოვლენა, რომელიც უმტკივნეულოდ და ჯანსაღად ხორციელდება. სხვადასხვა უბანში ენით აღუწერელი ანტისანიტარია იყო, რომელიც აზიანებდა როგორც მყიდველს, ასევე დედაქალაქის მოსახლეობის ინტერესებს. მეტრო „მარჯანიშვილის“ წინ, თბილისის ცენტრალურ უბანში დახლი არ უნდა იყოს.

რაც შეეხება მოვაჭრეებს, ჩვენ მათ ბედის ანაბარა არ ვტოვებთ, პირიქით მოლაპარაკება გვქონდა საქართველოს ბაზრობათა ასოციაციასთან, აბსოლუტურად ყველა გარემოვაჭრე დაკმაყოფილებულია სავაჭრო ადგილით. პირველი ექვსი თვის განმავლობაში მათ თანხის გადახდა არ უწევთ, შემდეგ კი, როგორც ყველა მოვაჭრე, გადაიხდიან საიჯარო გადასახადს.

უკანონო გარევაჭრობა პრობლემა იყო იმ მოვაჭრეებისთვის, რომლებიც კანონის სრული დაცვით იხდიან გადასახადებს. აუცილებლად უნდა იყოს თანაბარი კონკურენტული პირობები, გარევაჭრობის შემთხვევაში კი ვიღაც პრივილეგირებულ მდგომარეობაშია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მარჯანიშვილის მოედანზე აქვს დახლი, რაც ყველანაირ ნორმას ეწინააღმდეგება.

ზოგადად, ახლა ყველაფერში პოლიტიკას ხედავენ, ამაზე საუბარი სასაცილოა. ქალაქის მოსახლეობის, თავად მოვაჭრეების ინტერესების დაცვა განა ცუდია? ბოდიში ყველასთან, მაგრამ თბილისის ცენტრში კოლგოტების დახლი არ დაიდგმება!

— მოვაჭრეებს ექვსი თვის განმავლობაში გადასახადის გადახდა არ მოუწევთ, მაგრამ ისინი მას აქამდეც არ იხდიდნენ. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ ვნებათაღელვის ჩავლის შემდეგ გარემოვაჭრეები ისევ გამოჩნდებიან ქუჩებში?

— აბსოლუტურად ვერავინ გამოვა სავაჭროდ ქუჩაში. ეს ყველაფერი კანონით მკაცრად დარეგულირდება. ბიზნესს და ვაჭრობას თავისი წესები აქვს. კიდევ ერთხელ ვამბობ, თბილისის ცენტრში კოლგოტების დახლი არ დაიდგმება. ეს არასოდეს მოხდება. თბილისი საქართველოს დედაქალაქია, ევროპული ქალაქია და პრეტენზია გვაქვს ვიყოთ 21-ე საუკუნის ტიპური დედაქალაქი, შესაბამისად აქ ვაჭრობას, ბიზნესს, წარმოებას, ნებისმიერ საქმიანობას თავისი წესები უნდა ჰქონდეს.

— ქვეითი ინსპექტორები თბილისის ქუჩებში გამოჩნდნენ, რამდენად მისაღებია მსგავსი პროექტი თქვენთვის?

— ეს ძალიან კარგია. ბაზრის პრინციპია — არის მოთხოვნა, ხდება მიწოდებაც. იყო მოთხოვნა, რომ ყოფილიყო ინსპექტორი, რომელიც ადამიანს ნაგვის დაყრაზე დააჯარიმებდა. ე.ი. ქალაქში ამის უდიდესი პრობლემა იყო.

მინდა, ყველა მოქალაქეს მივმართო, რომ ჩვენი ქალაქი ჩვენი მოსავლელია. თითოეული ჩვენი თანამოქალაქის ინტერესის სფეროს უნდა წარმოადგენდეს ის, რომ ქალაქი იყოს სუფთა.

საერთოდ, ვფიქრობ, ძალიან მალე, მოქალაქეების თვითშეგნება მივა იმ დონეზე, რომ ეს პრობლემა დღის წესრიგში აღარ იქნება.

— მოსახლეობა ე.წ. ელიავას ბაზრობის ტერიტორიაზე რეკრეაციული ზონის გაშენებას ითხოვს. ეთანხმებით თუ არა ამ მოთხოვნას?

— ზოგადად, ქალაქში რაც მეტი რეკრეაციული ზონა იქნება, მით უკეთესი, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. თუმცა, რამდენადაც ინფორმაცია მაქვს, ეს კერძო ტერიტორიაა. არ მინდა, იურიდიულ დავაში შევიდე, ვინაიდან მას თავისი ნორმები და ჩარჩოები აქვს, ამას აუცილებლად მოჰყვება განხილვები. მე ვერ ვხედავ პრობლემას, თუ იმ ტერიტორიაზე იქნება სკვერი.

— დიდგორის დღის უქმედ გამოცხადებასთან დაკავშირებით რას იტყვით? უნდა გაითვალისწინოს პარლამენტმა თურქეთის საელჩოს თხოვნა?

— დიდგორის ომი ეს არის ჩვენი ეროვნული სიამაყე, მაგალითი ქვეყნისთვის თავდადებისა, თუმცა, ამაზე გადაწყვეტილებას მიიღებს პარლამენტი და შესაბამისი ორგანო, მე ვერაფერს ვიტყვი.

სალომე უერთაშვილი

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ განცხადება

ბოდორნას არსებულ წყალსაცავზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტისათვის, მიმდინარეობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების სამუშაოები (გზშ), სამუშაოს ფარგლებში მომზადდა შესაბამისი ანგარიში, რომელიც გამოქვეყნებულია საზოგადოებრივი განხილვისათვის. ანგარიშის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა — მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქუჩა №73, ცხელი ხაზი — 357 22 33 21, ელ. ფოსტა: contact@dusheti.org.ge

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ სათავო ოფისი - მისამართი: მ. კოსტავას 1 შესახვევი №33, თბილისი, 0179, საქართველო, ცხელი ხაზი (+995 32) 2 93 11 11; ელ. ფოსტა: ic@gwp.ge mailto:info@waste.gov.ge

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ. 6; ტელ.: (+995 32) 272 72 60

ანგარიში ასევე ხელმისაწვდომია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ვებგვერდზე www.gwp.ge.

გზშ-სთან დაკავშირებული კითხვები და მოსაზრებები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ მითითებულ მისამართებზე. ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება დუშეთის მუნიციპალიტეტის შენობაში **2017 წლის 27 ივნისს**. საჯარო შეხვედრაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

ქართული ღვინის ექსპორტი 59%-ით გაიზარდა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2017 წლის იანვარ-აპრილში საქართველოდან მსოფლიოს 39 ქვეყანაში ექსპორტირებულია 18,4 მლნ ბოთლი ღვინო, რაც 59%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 41,4 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 54%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

„მიმდინარე წლის იანვარ-აპრილის მდგომარეობით, ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის მაჩვენებლები 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 60%-მდეა გაზრდილი. ექსპორტი გაზრდილია ევროკავშირის ქვეყნების, ჩინეთის, აშშ-ის და აგრეთვე ტრადიციული ბაზრების მიმართულებით. ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის მიმართულებით ღვინის ეროვნული სააგენტო და მეღვინეობის დარგი შეთანხმებულად მუშაობს“, — აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი სამანიშვილმა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი — 11 076 205, ჩინეთი — 2 391 981, უკრაინა — 1 874 212, პოლონეთი — 814 882 და ყაზახეთი — 602 407 ბოთლი.

ამასთან, მსოფლიოს 14 ქვეყანაში ექსპორტირებულია 4 325 298 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 56%-ით აღემატება 2016 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 10,7 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი — მატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 67%-ს აღწევს.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები საანგარიშო პერიოდში 75,4 მლნ აშშ დოლარს შეადგენს — ზრდამ 2016 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 59% შეადგინა.

◎ ჭიდაობა

ჯერ მხოლოდ ორი „ბრინჯაო“


ზურაბ იაკობიშვილი

სერბეთის ქალაქ ნოვი სადში გრძელდება თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ქართველი ფალავნებიც მონაწილეობენ. ასპარეზობის მეორე დღეს ჩვენებმა ორი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს — კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ზურაბ იაკობიშვილი (65 კგ) და ელიზბარ ოდიკაძე (97 კგ) ავიდნენ.

იაკობიშვილმა პირველ წრეში სერბი პერიცა დიმიტრიევიჩი 4 წუთში დაჯაბნა (10:0), მერე გერმანელ ალექსანდერ სემისოროვს ქულებით სძლია (4:2), თურქ აჰმედ კაიას კი 4 წუთში 11 ქულა აართვა. „ოქროსკენ“ მიმავალ გზაზე მას ნახევარფინალში მომავალი რუსეთელი ჩემპიონი ილიას ბეკბულატოვი გადაეღობა, ხოლო რეპეშაჟის გადამწყვეტ პაექრობაში იაკობიშვილმა აზერბაიჯანელი გიტინომაგომედ გაჯიევი დაამარცხა — 9:4 და მესამე ადგილზე გავიდა.

ელიზბარ ოდიკაძეც ნახევარფინალში ჩამოშორდა „ოქრო-ვერცხლისთვის“ ბრძოლას: მანაც მომავალ ჩემპიონთან — თურქ რეზა ილდირიმთან წააგო — 2:8, მანამდე კი გერმანელი გეორგ გაბრიელ სერეგელი (4:1), მოლდოველი ნიკოლაი ჩებანი (4:3) და აზერბაიჯანის ნაკრების წევრი ასლანბეკ ალბოროვი (4:1) დააჩოქა. „ბრინჯაოსთვის“ პაექრობაში „ჯვაროსანმა“ მაკედონიელი მაგომედგაჯი ნუროვი იმსხვერპლა წმინდად — 10:0.

ევროპის ჩემპიონატის სტარტზე სუსტად იასპარეზეს ევროპის ორგზის ჩემპიონმა, ოლიმპიურმა პრიზიორმა დავით მარსაგიშვილმა (86 კგ) და დებიუტანტმა ოთარ გოგავამ (57 კგ), არადა, მარსაგიშვილს მედლამდე ხუთიოდე წამი დააკლდა: შეჯიბრების დასაწყისში მან ზედიზედ ორი მეტოქე ჩამოიშორა — ფინელი ვილე ტაპანი ჰეინო (7:1) და მოლდოველი დენის ბალაური (11:6). ნახევარფინალში რუსეთის ნაკრების წევრ დაურენ კურუგლიევთან შეხვედრისას ანგარიში თანაბარი იყო (2:2), რაც ხელს აძლევდა ჩვენებურს, მაგრამ შერკინების დასრულებამდე ხუთი წამით ადრე, ეტყობა, საქმე მომთავრებულად მიიჩნია და მოდუნდა. ეს შეცდომა ძვირადაც დაუჯდა. რეპეშაჟის ფინალი უნგრელ იშტვან ვერებთან ფრედ დაასრულა (2:2), აქ კი ორქულიანი გდების უპირატესობა მადიარის მხარეს იყო და ჩვენებური მხოლოდ მე-5 ადგილით დაკმაყოფილდა.

ოთარ გოგავამ პირველივე ორთაბრძოლა დათმო იური ჰოლუბთან (ისრაელი, 0:10) და ძირითადი ბადიდან გამოსვლა ვერ შეძლო, რადგან ჰოლუბმა ფინალს ვერ უწია.

ლაშა დიდია

◎ ხელბურთი

„ოქროს ვერძმა“ ყველანი ჩამოიტოვა

2000-2001 წლებში დაბადებულ ხელბურთელ გოგონათა საქართველოს ჩემპიონატში ცხრა გუნდი მონაწილეობდა. შესანიშნავად იასპარეზა ფოთის „ოქროს ვერძმა“ (მწვრთნელი დარეჯან გეფერიძე) — ორწრიანი ჩემპიონატის ზედიზედ 16 შეხვედრა მოიგო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ზღვისპირელები ამ ასაკში ზედიზედ მეორედ გახდნენ საქართველოს ჩემპიონები.

ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების ბედი „ქარიშხალას“ (მწვრთნელი ირმა ცქიტიშვილი) და „აჭარის“ (მწვრთნელი მაია შალამბერიძე) მატჩის შედეგმა გადაწყვიტა — ორივე გუნდს 23-23 ქულა ჰქონდა და ქულით ჩამორჩებოდნენ „მამულს“ (მწვრთნელი **ჯულია კასიანი**). მართალია, „ქარიშხალამ“ პირველი ტაიმი დათმო (4:5), მაგრამ შესვენების შემდეგ იყოჩაღა, ორთაბრძოლა მოიგო 16:10 და 25 ქულით მეორე ადგილზე გავიდა. მესამე ადგილი „მამულს“ ხვდა. აჭარის გოგონათა გუნდი მე-4 ადგილით დაკმაყოფილდა.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ფოთი	16	16	0	0	340-153	32
ქარიშხალა	16	12	1	3	267-158	25
მამული	16	12	0	4	314-177	24
აჭარა	16	11	1	4	212-168	23
სამტრედია	16	5	2	9	214-234	12
პეგასი	16	4	0	12	177-253	8
ყვარელი	16	3	2	11	127-228	8
წყალტუბო	16	4	0	12	146-209	8
გორი	16	2	0	14	93-310	4

ფოთის „ოქროს ვერძი“

გუშინ საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრები (მარიამ ჩაფიჩაძე, ხატია ჯიქურაშვილი, ნინო ჯგერენაია, მარიამ გვათუა, ნინო სურგულაძე, ლანა გოგია, ანა ჩხაიძე, ნინო შახულოვა, ანა დოლიძე, ნინო გაგნიძე, ელისაბედ ჩხაიძე, ანა ქებაძე, ჯულია ჩირგაძე, მწვრთნელები — გელა ჟვანია, ინა ჭკუასელი, გიორგი გვაზავა, ლანა მარგიანი) ორი ამხანაგური მატჩის გასამართავად ისრაელში გაემგზავრა.

ლექსო ცინცაძე

◎ კალათბურთი

ჯაბარის შემდეგ — ჯორდანი



ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის აღმოსავლეთ კონფერენციის პლეი-ოფის შეხვედრაში „კლივლენდმა“ შინ „ტორონტო“ 125:103 დაამარცხა და სერიაში 2:0 დაწინაურდა. ლებრონ ჯეიმსმა მეტოქეს 39 ქულა ჩაუგდო და პლეი-ოფში მოხვეჭილი ქულებით ლეგენდარულ ქარიმ აბდულ-ჯაბარს გადაასწრო.

„მეფეს“ 5777 ქულა დაუგროვდა, ხოლო ქარიმს 5762 ქულა აქვს. ჯეიმსი ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზეა, ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის პლეი-ოფში კი ყველაზე მეტი — 5987 ქულა მაიკლ ჯორდანს აქვს მოპოვებული.

ლებრონსა და ჯორდანს შორის სხვაობა 210 ქულაა და, დიდი ალბათობით, „მეფე“ ჯორდანს ამ სეზონშივე გადაასწრებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა

2015 წლის ნოემბრის შემდეგ ლეონარდო ჟარდიმის გუნდი საკუთარ მინდორს უგოლოდ არ ტოვებდა, „ბებერ ქალბატონს“ კი, პირიქით, წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ ორი ბურთი ჰქონდა გაშვებული. უფრო მეტიც, ლეგენდარულმა ჯანლუიჯი ბუფონმა, რომელსაც ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირი ჯერაც არ მოუგია, პლეი ოფის შეხვედრებში, რომ იტყვიან, ახალგაზრდობა გაიხსენა და მშრალი სერია 620 წუთამდე გაზარდა. ეტყობა, ამიტომაც მოინათლა მონტეკარლოელთა და აპენინელთა ნახევარფინალები ფარისა და მახვილის შერკინებად, რომლის ბედიც, დიდი ალბათობით, „ლუი XII“-ზე გამართულ პირველივე რაუნდში გადაწყდა.

„მონაკო“—„იუვენტუსი“ 0:2

(პირველი ტაიმი 0:1)

გოლები: იგუაინი (2)

მართალია, მასპინძლებმა უფრო მეტი ხიფათი შექმნეს მრისხანე მეტოქის კართან, ვიდრე წინა ეტაპის ერთბაშად ორი მატჩის განმავლობაში აგრესიული თამაშით გამორჩეულმა „ბარსელონამ“ (მაგალითად, ორჯერ მბაპემ), მაგრამ დანი ალვეშ-ბონუჩი-ბარძალი-კიელინის გაუვალი კვარტეტის გასარღვევად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ის კი არა, სტუმართა ბრაზილიელი მარჯვენაფლანგელი პარტნიორთა ელვისებური კონტრშეტევების დროსაც შეუდარებელი გახლდათ და ლოგიკურიცაა, სწორედ მისი შედეგიანი გადაცემები რომ დააგვირგვინა „დუბლით“ არ გენტინელმა ბომბარდირმა იგუაინმა. სხვათა შორის, ანგარიშის გახსნას წინ მისივე თანამემამულის დიბალას მიერ მოედნის ცენტრში ქუსლით შესრულებული ფილიგრანული გადაცემა უძღოდა და ბოლო პასიც მსგავსი ილეთით „დაიხატა“.

კიდევ ერთი ფაქტორი, რამაც მასიმილიანო ალეგრის გუნდის კანონზომიერი წარმატება გაანაპირობა, იტალიის „სერია-ა“-ს სიძლიერეშია საძებნი, რომლის უცვლელი ჩემპიონიც, აგერ უკვე მეექვსე სეზონია, ტურინული გრანდი ხდება. დაგვეთანხმებით, ფრანგული საკლუბო ფეხბურთის მიმართ დიდი პატივისცემის მიუხედავად, ძნელია იქაური ლიგა — ერთის დონე კონკურენტს შეადარო.

ევროპა ლიგა. ნახევარფინალი. პირველი მატჩი.

„აიაქსი“ — „ლიონი“ 4:1.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ცოლი - სიმენის უულვაშობის მიზეზი

ბრიტანელი ლედი, რომელსაც ერთობ უცნაური სახელი ფრანკი პულტნი ჰქვია, აგერ უკვე 20 წელია, რაც ლეგენდარული ინგლისელი მეკარის დევიდ სიმენის მეუღლეა და არამხოლოდ ქმარზე, არამედ მთელი ბრიტანეთის „ყვითელ“ საზოგადოებაზე დიდი და ხელშესახები გავლენა აქვს.

ქალბატონი ფრანკი შეიძლება არაა ჟოზეფინასებრ პოლიტიკური ინტრიგების მხლართველი, მაგრამ ისეთი თავისნათქვამა და უხიაგი ვინმეა, რომ მასთან წინააღმდეგობას კი არა, შეპასუხებასაც ვერავინ ბედავს და სწორედ მის ხასიათს შეეწირა დევიდის დიდებული ულვაშები.

მიუხედავად იმისა, რომ სიმენს ცოცხალი თავით არ სურდა მისი გრანდიოზული ულვაშის ჩამოპარსვა, ცოლმა იმდენი უჩხიკინა, რომ მაინც დაარწმუნა უულვაშობის სიკეთეში და, როგორც ხედავთ კოხტადაც ჩამოაპარსვინა. აშკარაა, რომ მის პულტნის უბრალოდ არ მოსწონდა, მისი ქმარი რაღაცით ბორის ჩოჩიევს რომ ჰგავდა...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ჩვენ და საკვები

მორიელის მწვადი

ბოლო ათწლეულების მანძილზე, ჩვენში, ისევე, როგორც დანარჩენ მსოფლიოში, აზიური კულტურა, სარწმუნოებები, ეროვნული ტრადიციები და ხალხური რეწვა, ძველი და თანამედროვე ყოფის წეს-ჩვეულებები და ათასი სხვა რამ, უდიდესი ყურადღების ფოკუსშია მოქცეული. ეს სულაც არ არის გასაკვირი, რადგან ეს ჭეშმარიტად მომაჯადოებელი, უცხო სამყაროა. ბუნებრივია,რომ ამ მხრივ უპირველესი ადგილი აზიისა და მთელი მსოფლიოს უდიდეს, უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ჩინეთს ეკუთვნის. ცისქვეშეთის საოცრებათა უკიდეგანო ზღვაში კი ერთ-ერთი ჭეშმარიტი მარგალიტია ჩინური სამზარეულო, თუმცა კი მისი ევროპულ-ამერიკული აღქმა ადგილობრივისგან დიდად განსხვავდება. ერთი რამ მაინც ცხადია: ჭამა ჩინეთში ნამდვილი კულტია, რომელსაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ეთაყვანება.

ამის დასტურად თუნდაც ერთი, მაგრამ, ვფიქრობთ, უაღრესად საგულისხმო დეტალის აღნიშვნა ღირს. ერთგვარ ცხვრის წვნიანში თითოეული მაკარონი... საგანგებო კვანძებითაა გადანასკული, რომლებითაც მჭამელს დღეგრძელობას უსურვებენ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. საერთოდ კი საქმეში გათვითცნობიერებული ხალხი ამბობს, რომ ჩინეთში სუფრასთან კი არ ჭამენ, არამედ ლოცულობენ.

— ცისქვეშეთის მცხოვრები უბრალოდ ვერ გაგიგებთ, თუკი უცხო ტომის კაცი მას „ჩინურ სამზარეულოზე“ ჩამოუგდებს ლაპარაკს, — ამბობს ქალაქ ჩენდუს კულინარიული სტუდიის დამაარსებელი ბატონი ცაო ვეი. — ჩვენში ისტორიულად შვიდი — კანტონის, სიჩუანის, შანდუნის, ფუძიანის, ჰუნანის, ჯეციანისა და ანჰოს — სამზარეულოებია გავრცელებული. ისინი ერთმანეთისგან ისევეა განსხვავებული, როგორც, ვთქვათ, ფრანგული და ისლანდიური სამზარეულოები.

ისტორიული ცნობებით, ძველ ჩინეთში მზარეულებს მთავრობაში ეკავათ თანამდებობები — შანის დინასტიის იმპერატორმა ჩენ ტანმა თავისი კულინარი პრემიერ-მინისტრად დანიშნა, სიჩუანის პროვინციის გუბერნატორმა დინ ბაოჯენმა 1876 წელს დღესდღეობითაც დიდად პოპულარული კერძი მოიგონა, რომელიც არაქისთან და წიწაკა ჩილისთან ერთად შემწვარი ქათმის ნაჭრებისგან შედგება.

ზოგადად, ჩინეთში კერძის მომზადების პრინციპია „მოგვეცით ნებისმიერი ხელთ არსებული სურსათი“. ანდაზაც კი არსებობს: ჩინელები მიირთმევენ ყველაფერს, რასაც ოთხი ფეხი აქვს, მაგიდების გარდა, და ყველაფერს, რაც დაფრინავს, თვითმფრინავების გარდა.

— უცხოელებს ხშირად უკვირთ, რომ ჩინეთში ბევრ ეგზოტიკურ მწერსა თუ ცხოველს ჭამენ, ვთქვათ, კალიებსა და გველებს, — ამბობს ქალაქ სიანში ერთ-ერთი კაფეს მეპატრონე ბატონი ჯოუ მენი. — დიახ, ეს ასეა, მაგრამ ძალიან ძვირი ღირს. გასათვალისწინებელია, რომ კალიებს მინდვრებში კი არ იჭერენ, არამედ საგანგებოდ გამოჰყავთ, თანაც აშენებენ მხოლოდ მათ იშვიათ ნაირსახეობას და მხოლოდ მაისიდან აგვისტომდე, სხვა დროს ისინი უგემურია. გველის წვნიანითა და მწვადით შანჰაია განთქმული, მაგრამ მისი ჭამა მთელ რიტუალს მოიცავს, რომელიც გველის სისხლის სმასაც ითვალისწინებს და ძალიან, ძალიან ძვირი ღირს. თანამედროვე ჩინეთისთვის ასეთი კერძები ასევე ეგზოტიკაა.

„ჩინური სამზარეულოს“ გამაერთიანებელი ატრიბუტია ჩხირები, რის თაობაზე ერთგვარი „სასადილო კანონებიც“ კი არსებობს. მაგალითად, არ შეიძლება ბრინჯში ჩხირების ვერტიკალურად ჩარჭობა — ეს სიკვდილის სურვილს ნიშნავს. ასევე არ შეიძლება ჩხირებით ჟესტიკულირება — წინაღმდეგ შემთხვევაში ის, ვიზეც ისინი მიანიშნებენ, შიმშილობისთვისაა განწირული.

ისე, კაცმა რომ თქვას, თითქოს უცნაური წესებია, მაგრამ, აბა, გავიხსენოთ ჩვენებური თქმა — სტვენამ უფულობა იცისო...

პეკინში ვანფუძინის ქუჩაზე ღამის ბაზარს სახელი მთელს ქვეყანაში აქვს გავარდნილი. აქ ხალხი მთელი ცისქვეშეთიდან ჩადის სწორედ იმ დელიკატესების დასაგემოვნებლად, რომლებსაც ჩვენ ჭეშმარიტად ჩინურებს ვუწოდებთ. აქაურობა მართლაც საოცარი სანახავია — საჭმელად იყიდება მორიელები, კალიები, კვერცხებიდან ამოღებული წიწილების ჩანასახები, ქოთნებით იხვის სისხლი.

თუმცა ისიცაა, რომ ბევრი ტურისტი, განსაკუთრებით კი უცხოელი, მსგავს ეგზოტიკურ კერძებს არა საჭმელად, არამედ არანაკლებ „ეგზოტიკური“ ფოტოს გადასაღებად ყიდულობს...

მოამზადა
ლალი ხუნდაძემ

„მერსედეს ბენცის“ მოდის კვირეული თბილისში

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 4-დან 8 მაისის ჩათვლით თბილისში „Mercedes-Benz Fashion week“ გაიმართება. თბილისის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში „MOMA“ 2017 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციებს 42 ქართველი და უცხოელი დიზაინერი წარმოადგენს.

როგორც წინა სეზონზე, ამჯერადაც „Mercedes-Benz Fashion week“-ის ერთ-ერთი მთავარი პარტნიორია სსიპ „აწარმოე საქართველოში“, რომლის დახმარებით საქართველოს გავლენიანი და მსოფლიოში ცნობილი მყიდველები (ე.წ ბაიერები) ესტუმრებიან ისეთი კომპანიებიდან, როგორიცაა: LA RINASCENTE, SV Moscow, Bold Concept Store, Lambert & Associates, Bold Concept Store, LONDON, R6JOUX, KUZNETSKY MOST, f-people Concept Store, SAUVAGE GROUP, Bosco Di Cilegi / Moscow და ა.შ

აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი კვირეული გამოირჩევა ექსპოზიციებისა და შოუების განსაკუთრებული მრვალფეროვნებით. განსხვავებული განათება, გახმოვანება, ინსტალაციები, მუსიკა და სივრცე დიზაინერებს საშუალებას მისცემს, წარმოაჩინონ მოდა, როგორც ხელოვნება და დააფიქრონ საზოგადოება, სად გადის ზღვარი ხელოვნებასა და მოდის დიზაინს შორის. ჩვენებების და გამოფენების უმრავლესობას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი უმასპინძლებს. რამდენიმე დიზაინერმა საკუთარი კოლექციის წარმოსადგენად განსხვავებული სივრცე აირჩია: რუსთაველის და სამეფო უბნის თეატრები, მწერალთა სახლი, სახელმწიფო უნივერსიტეტი, აბრეშუმის მუზეუმი, სასტუმროები „ROOMS“, „თბილისი მერიოტი“, გუდიაშვილის სკვერი და ფუნიკულიორი.

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით საქართველოში გამართულ მოდის კვირეულებს უცხოელი მყიდველები მუდმივად სტუმრობენ, რაც შემოქმედებითი ინდუსტრიის ფარგლებში, ხელს უწყობს ქართველი დიზაინერებისა და მათი პროდუქციის საერთაშორისო მასშტაბით პოპულარიზაციას. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ის ფაქტი, რომ ქართველი დიზაინერების პროდუქცია უკვე იყიდება ისეთ ტრენდულ და მოდის სამყაროში ცნობილ ვებგვერდებზე, როგორებიცაა Farfetch და Modaoprandi.

რამდენიმე წარმატებული მოდის კვირეულის შემდეგ თბილისი მსოფლიო მოდის დედაქალაქების სიას შეუერთდა და Mercedes-Benz Fashion week-ის მსოფლიო კალენდარშიც შევიდა.

საერთაშორისო დანაშაულებრივი ფაქტი გახსნილია



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტთან ერთობლივად გატარებული საგამოძიებო და ოპერატიული მოქმედებების შედეგად, სატელეფონო კომუნიკაციების სფეროში ჩადენილი მორიგი, საერთაშორისო დანაშაულებრივი ფაქტი გახსნა.

ჩატარებული გამოძიების შედეგად, ქალაქ თბილისსა და ქალაქ ბათუმში, სხვადასხვა ადგილიდან ამოღებულია საერთო ჯამში, 8 ერთეული უკანონოდ განთავსებული, საერთაშორისო ზარის ადგილობრივ ზარად გარდაქმნისთვის განკუთვნილი ელექტრონული მოწყობილობა ე.წ. „სიმ ბოქსი“. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, უცხოური ზარის ადგილობრივ ზარად გარდაქმნის შედეგად, ხელოვნურად ცვლიდნენ შემომავალი ზარების ტარიფებს და მნიშვნელოვნად აზარალებდნენ სახელმწიფო ბიუჯეტს და სატელეფონო კომუნიკაციების სფეროში მომუშავე კომპანიებს. საგამოძიებო სამსახურის მიერ გატარებული მასშტაბური საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საერთო ჯამში, გამოვლენილია 21 ერთეული „სიმ ბოქსის“ უკანონოდ განთავსება-გამოყენების ფაქტი.

მკვლელობა თამარისში

ბოლნისის რაიონის სოფელ თამარისში, 1989 წელს დაბადებულმა მამაკაცმა 24 წლის მეუღლე დანით მოკლა. გავრცელებული ინფორმაციით, სავარაუდოდ, მკვლელობის მიზეზი მოკლეტექსტური შეტყობინება გახდა, რომელიც მამაკაცმა ცოლის ტელეფონში ნახა.

ფაქტზე გამოძიება 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. შსს-ს ინფორმაციით, მკვლელობაში ბრალდებული დაკავებულია.

გარდაცვლილს მცირეწლოვანი ბავშვები დარჩა.

გერმანია კიბერარმიას ქმნის

2016 წელს გერმანიაში 83 ათასი კიბერთავდასხმა განხორციელდა. კიბერდანაშაულებთან ბრძოლის განყოფილების წარმომადგენელი აცხადებს, რომ ჰაკერული თავდასხმების გამო ქვეყანამ 51 მილიონი ევრო იზარალა. ცნობილი გახდა ისიც, რომ გახშირებული თავდასხმების გამო ქვეყნის კიბერგარემოს დასაცავად გერმანია კიბერარმიას შექმნის.

ფეისბუქის მომხმარებელთა რაოდენობა გაიზარდა

ფეისბუქის მომხარებელთა რაოდენობა 2 მილიარდამდე გაიზარდა. სოციალური ქსელის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მილიარდ 900 მილიონ 400 ათასი ადამიანია დარეგისტრირებული. კომპანიაში განმარტავენ, რომ ეს იმ ადამიანების რაოდენობაა, ვინც ფეისბუქის გვერდზე თვეში ერთხელ მაინც შედის.

ისლამისტები საკუთარ სოციალურ ქსელებს ქმნიან

ისლამური სახელმწიფო საკუთარ სოციალურ ქსელს ქმნის. ამის შესახებ ევროპოლის დირექტორი იტყობინება. რობ უეინრაითის თქმით, სოციალური ქსელის დახმარებით ტერორისტული დაჯგუფება ექსტრემისტული იდეების გავრცელებას უკეთ შეძლებს. ევროპოლში აცხადებენ, რომ რადიკალი ისლამისტები უახლეს ტექნოლოგიებში კარგად ერკვევიან და ვირტუალურ ქსელში ინოვაციების გამოყენებას განაგრძობენ. აღსანიშნავია, რომ ისლამური სახელმწიფოს მხარდამჭერი ვებ გვერდების არსებობის გამო რამდენიმე სოციალურმა ქსელმა, მათ შორის ტვიტერმა, ათასობით აქაუნთი გააუქმა.

დიდი მადლობა, კაპიტანო!

„ბორჯღალოსანთა“ ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე, გუნდის კაპიტანი მამუკა გორგოძე ნაკრებიდან მიდის.

მან ეს რთული გადაწყვეტილება ერთწლიანი ფიქრის შემდეგ მიიღო:

„ნაკრებიდან წასვლას 2015 წლის მსოფლიო თასის შემდეგ ვაპირებდი, თუმცა, მთხოვეს და დავრჩი, მაგრამ მას შემდეგ სულ ამ საკითხზე ვფიქრობდი და საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე! არაერთხელ მითქვამს: მინდა, რომ გულშემატკივარს კარგად დავამახსოვრო თავი და ვგრძნობ, წასვლის დრო მოვიდა.

უკვე 33 წლის ვარ და 2019 წლის მსოფლიო თასის დროს 35-ს ვიქნები გადაცილებული. ვამჩნევ, რომ ასაკში ვარ და წლების მატებასთან ერთად დაღლილობა კი არ დაიკლებს, კიდევ უფრო მოიმატებს. მირჩევდნენ, რომ მხოლოდ მსოფლიო თასისთვის მოვმზადებულიყავი და მნიშვნელოვან თამაშებზე ჩამოვსულიყავი, მაგრამ ჩემთვის ეს მიუღებელია! კაპიტანი სულ გუნდთან ერთად უნდა იყოს, მის პულსზე უნდა ედოს ხელი, სხვა შემთხვევაში კაპიტანი ვერ იქნები.

ჯანი, სურვილი და ჟინი არ მომკლებია, მაგრამ ასეთ დატვირთვებს ვეღარ ვუძლებ. რომ ყოფილიყო შესაძლებელი, არჩევანს ნაკრებზე შევაჩერებდი, მაგრამ უთამაშებელი ნაკრებს ვერაფერში გამოვადგები, მხოლოდ ნაკრებში ვერ ვითამაშებ.

ნაკრებს დავაკლდები, მაგრამ შეუცვლელი არავინაა, მით უმეტეს, რომ საქართველოს ნაკრებს მესამე ხაზში მართლა ძალიან ჯიგრიანი ბიჭები ჰყავს და კარგი შევსება მოდის. გადავწყვიტე წასვლის შესახებ მსოფლიო თასამდე 2 წლით ადრე გამომეცხადებინა, რადგან გუნდი მზადებას იწყებს და მწვრთნელებს ხელი არ შეეშალოთ. ყველაზე მეტად მე მწყდება გული, თუმცა, ჯობს დროულად წახვიდე და გულშემატკივარმაც კარგად გაგიხსენოს“, — თქვა მამუკა გორგოძემ.

4-ჯერ საუკეთესო მსოფლიო თასზე

მამუკამ „ბორჯღალოსანთა“ კვართი პირველად 2003 წლის 22 თებერვალს ესპანეთის წინააღმდეგ მოირგო და მას შემდეგ გუნდისთვის შეუცვლელ ლიდერად იქცა.

მონაწილეობდა სამ მსოფლიო თასზე — 2007, 2011 და 2015 წლებში და 4-ჯერ გახდა მატჩის საუკეთესო მოთამაშე: 2011 წელს — ინგლისთან და რუმინეთთან, 2015 წელს — ტონგასთან და ახალ ზელანდიასთან. 2015 წლის მსოფლიო თასზე ის „ბორჯღალოსანთა“ კაპიტანი იყო და საქართველომ ისტორიულ შედეგს მიაღწია — ორი თამაშის მოგებით (ტონგასთან და ნამიბიასთან) ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა, რითაც 2019 წლის მსოფლიო თასის საგზური ნაადრევად მოიპოვა.

„ნაკრებში პირველად 2003 წელს ესპანეთის წინააღმდეგ ვითამაშე. შეცვლაზე 10 წუთით შევედი, ამ პერიოდში ბურთიც მივიღე და რაღაცეები კარგად გამომივიდა. მას შემდეგ „ბორჯღალოსანთა“ კვართით არაერთი დასამახსოვრებელი თამაში ჩავატარე, თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი თამაშები 2015 წლის მსოფლიო თასზე გვქონდა.

მოგება ისე არასდროს გამხარებია, როგორც ტონგასთან ბოლო მსოფლიო თასისას. კარიერის განმავლობაში ბევრი მნიშვნელოვანი თამაში მოგვიგია, მაგრამ ეს მაინც გამორჩეული იყო. ასევე გამორჩეული გახლდათ ახალ ზელანდიასთან შეხვედრა. მსოფლიოს ჩემპიონი, ჩემთვის ყველაზე საყვარელი სტადიონი „მილენიუმი“ და მე მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დამასახელეს.

ძალიან კარგად მახსოვს და არასდროს დამავიწყდება საქართველოში, გადაჭედილ „დინამოზე“ ჩატარებული თამაშები, განსაკუთრებით კი წელს რუსეთის წინააღმდეგ გამართული შეხვედრა და განათებული ტრიბუნები. საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალს „ნოუ კამპზე“ 93 ათასი მაყურებელი დაესწრო, მაგრამ იქაც არ იყო ისეთი ატმოსფერო, როგორც ჩვენთან 54-ათასიან „დინამოზე“.

ნაკრებიდან დამარცხებული არ წავალ!

გორგოძემ რაგბის თამაში 2000 წელს 16 წლისამ „ლელოში“ დაიწყო და 2004 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა. 2005 წლიდან 2014 წლამდე ის ტოპ 14-ის „მონპელიეს“ ღირსებას იცავდა და სწორედ იქ თამაშისას გაითქვა სახელი. გავიდა ტოპ 14-ის ფინალში, 2010/2011 წლებში დაასახელეს ტოპ 14-ის საუკეთესო ლეგიონერად, 2012/2013 წლების სეზონში აღიარეს ტოპ 14-ისა და „ჰაინეკენის თასის“ (ამჟამად ჩემპიონთა თასი) იანვრის თვის საუკეთესო მოთამაშედ.

2014 წლიდან „ტულონში“ გადავიდა და გასულ სეზონში საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალში „რასინგს“ 93-ათასი მაყურებლის წინაშე ლელო დაუდო, მაგრამ მისი გუნდი დამარცხდა და გორგოძე ჯერჯერობით ფრანგული „ოქროს“ გარეშეა.

„ბორჯღალოსანთა“ კვართით 71 ტესტი აქვს ჩატარებული, აქედან 13 — კაპიტნის სამკლავურით და საქართველოს ნაკრების საუკეთესო მელელოვეა (26 ლელო). ის 6-ჯერ გახდა საქართველოს საუკეთესო მორაგბე (2008, 2009, 2011, 2013, 2015 და 2016 წლები), 2011 წელს კი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენი გახდა.

მამუკამ ნაკრების კვართით ბოლო თამაში წელს მარტში, რაგბი ევროპის ჩემპიონატზე, ბუქარესტში რუმინეთის წინააღმდეგ ჩაატარა, კოჭი და მუხლი დაიზიანა და მოედანს ახლახანს დაუბრუნდა. ის თამაში რუმინეთმა 8:7 მოიგო და ამან გორგოძე ნაკრებში კიდევ ერთი თამაშის გამართვაზე დააფიქრა:

„არ მინდოდა გამოსათხოვარი მატჩი მეთამაშა. ძალიან ბევრი დიდი მორაგბე ისე წავიდა ჩვენი ნაკრებიდან, რომ გამოსათხოვარი შეხვედრა არ ჰქონია და მეც ჩვეულებრივ წავიდოდი, მაგრამ არ მინდა წაგებული წავიდე. რუმინეთთან რომ მოგვეგო, ასე არ ვიფიქრებდი, ახლა კი საქართველოში ერთ თამაშს აუცილებლად ვითამაშებ!“

ერთად გავიზარდეთ

ზემონახსენები ტიტულების გარდა, მამუკა გორგოძე გულშემატკივართა გამოკითხვისას არაერთხელ დასახელდა საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად. „ბორჯღალოსანთა“ კაპიტანი ქომაგის სიყვარულს ყოველთვის გრძნობდა და მათ მიმართ თავადაც მუდამ განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდა:

„მსურს დიდი მადლობა გადავუხადო გულშემატკივარს იმ თანადგომისთვის, სიყვარულისთვის, რასაც მთელი კარიერის განმავლობაში ვგრძნობდი. ბევრი დიდი სარაგბო ქვეყანა ვერ დაიკვეხნის ისეთი გულშემატკივრით, როგორიც ჩვენ გვყავს. განსაკუთრებული წარმატებისთვის არ მიგვიღწევია, მაგრამ ქომაგები მუდამ გვამხნევებდნენ და რაგბი ხელში ჰყავთ აყვანილი.

პირველივე დღიდან მახსოვს მათი თანადგომა. საქართველოს ნაკრები და მისი ქომაგები, ფაქტობრივად, ერთად ვიზრდებოდით. როგორც ჩვენ მივიწევდით წინ, ისე მატულობდა ტრიბუნაზე გულშემატკივარი და, რაც მთავარია, ყალიბდებოდა მათი სარაგბო განათლება. ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი გულშემატკივრები ნამდვილი პროფესიონალები არიან და მინდა მათ უღრმესი მადლობა გადავუხადო იმ თანადგომისთვის, რასაც პირადად მე და ნაკრების თითოეული წევრი ყოველთვის გრძნობდა“.

ახალი თაობა უფრო მეტს მიაღწევს

იმ 14 წლის განმავლობაში, რაც მამუკა გორგოძემ ნაკრებში გაატარა, „ბორჯღალოსნებმა“ არაერთი მნიშვნელოვანი თამაში მოიგეს და ქართულ რაგბის მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაუთქვეს სახელი. „თუ ადრე პორტუგალიასა და ესპანეთთან გვიწევდა ჭიდილი და ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ პირველი დონის გუნდებს მსოფლიო თასს მიღმა შეხვდებოდით, ახლა სიტუაცია შეცვლილია და საუკეთესოებთან წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ტესტ-მატჩები გვაქვს“.

გორგოძე დარწმუნებულია, რომ მომდევნო წლებში ეს წინსვლა გაგრძელდება და ამის იმედს ის თაობა იძლევა, რომელმაც „ბორჯღალოსანთა“ რიგები უნდა შეავსოს:

„იმ 14 წლის განმავლობაში, რაც ნაკრებში გავატარე, ჩვენი გუნდი ძალიან წინ წავიდა. ადრე ვერც კი წარმოვიდგენდით, ასეთი თამაშები თუ გვექნებოდა. საშუალო დონის გუნდების წინააღმდეგაც კი ერთგვარი რიდით გავდიოდით, დაძაბულები ვიყავით, არ გვინდოდა შევრცხვენილიყავით. ახლა ასე აღარაა და დიდ გუნდებსაც თამამად ვეთამაშებით, შიში აღარ გვაქვს. შესაძლოა, მათთან მოგებას ჯერ ვერ ვახერხებთ, მაგრამ ზუსტად ვიცით, რომ შანსი გვექნება და რაღაცას მაინც ვატკენთ.

მაგრამ ახლა ძალიან ფრთხილად და ფხიზლად უნდა ვიყოთ. ძალიან ბევრი საგარეო მტერი გვყავს, რომლებსაც ჩვენი ადგილის დაკავება უნდათ და მაქსიმალურად ჭკვიანურად უნდა მოვიქცეთ. ჩვენი მიზანი მიღწეულის შენარჩუნება და ნელ-ნელა წინსვლა უნდა იყოს, რადგან დიდ ნახტომს აუცილებლად ვარდნა მოჰყვება. სადაც ვართ, იმ ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაგვიჭირდეს, რადგან უძლიერესი ბიჭები მოდიან და მათ უფრო მეტის მიღწევაც შეუძლიათ.

მაქვს ერთი სურვილი — ვნახო საქართველო ექვსი ერის ღირსეულ წევრად და მსოფლიო თასზე ჯგუფური ეტაპი გადავლახოთ, პლეი ოფში გავიდეთ. მჯერა, ჩვენი მომავალი თაობა ამას მოახერხებს“.

კოგა კოგახიძე

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4416; ევრო - 2.6635;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1550;
100 რუბლი - 4.2694; თურქული ლირა - 0.6902;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4522;
1000 სომხური დრამი - 5.0415.

ამინდი 5 მაისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +5 დღე +23
მთიანი რაიონები - ღამე +2, დღე +14
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +10, დღე +25
მთიანი რაიონები - ღამე +7, დღე +23
თბილისი: ღამე +13, დღე +24

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge